

# საერთო გაზეთი

№1 (593) • 20 იანვარი, 2021წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1.50 ლარი

## ბიძინა ივანიშვილი:

„ვტოვებ პოლიტიკას იმ იმედით, რომ პოლიტიკური ეგოიზმის და ერთი კაცის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მოუთოკავი სურვილის გამო, დღევანდელი ოპოზიციის ის ნაწილიც დარწმუნდება, ვინც პოლიტიკური ნების უქონლობით, გამოუცდელობით თუ უხერხემლობით, ბოროტებისა და მისი მთავარი შემოქმედების გავლენის ქვეშ მოექცა“.

\* \* \*

„გული მწყდება, რომ ვერ შეიქმნა კონსტრუქციული ოპოზიცია, არ დავმალავ და გულწრფელად ვიტყვი, რომ ჩემი პოლიტიკური საქმიანობის დასასრულს, ერთ-ერთი, რაც საფიქრებლად და დარდად მიმყვება, არის ის, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიცია, რომელიც მინიმალურად მაინც დააკმაყოფილებდა ევროპული საპარლამენტო დემოკრატიისთვის დამახასიათებელ სტანდარტებს“.

\* \* \*

„მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენი საზოგადოება აღარასდროს გააკეთებს მცდარ არჩევანს და არ დათმობს თავისუფლებას“.



დღესაც ხალხის გადანყვეტილებით, დემოკრატიული არჩევნების გზით „ქართული ოცნება“ დათმობს ხელისუფლებას, სწორედ ეს პარტია, ქართულ საზოგადოებასთან ერთად, იქნება დიქტატურის გამეორების ძირითადი შემაკავებელი და ჩამკეტი.

\* \* \*

ხალხი გაიზარდა, ის არ შეეგუება დიქტატურას. ჩემთვის, როგორც რიგითი ქართველისათვის, სასიხარულო და საამაყოა, რომ ჩვენმა ხალხმა, ისტორიულად ძალზე ხანმოკლე პერიოდში, უნიკალური გამოცდილება და უნარები შეიძინა.

\* \* \*

პოლიტიკიდან მივდივარ ამაყი, გამარჯვებული და ხალხის მადლიერი. ხალხმა შეძლო იმ ძალისხმევის დანახვა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე გავნე. დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი ასევე შეაფასებს ჩემს დღევანდელ ნაბიჯსაც, რომელიც იმავე ინტერესებითაა ნაკარნახევი, რისთვისაც მე პოლიტიკაში მოვედი.

**დღეს, როდესაც მე საბოლოოდ მივლივარ პოლიტიკიდან და ვბოვებ საჯარო სივრცეს, მიხდა ქაღი მონიხარო ქართული ხალხის ნინაშე. მე ისინი არასოდეს დამიწყია ჩემს მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, რადგან მჯერა, რომ ჩვენი საშობლო გასილვაბით ღიღი ღირებულაა, ვიღრა თუნდაც დინამიტრალურად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები**

**აშიარიდან, ვერს ერთი ხელისუფლება ვეღარ იხილავს დანებებულ და ხელუბანულ საზოგადოებას. მჯერა, რომ პოლიტიკური ღიღირების მიმართ მიამიტურად და ბრგად ნდობის პრაქტიკას საბოლოოდ ჩაბარდა ნარსულს. აშიარიდან, ნებისშიარი ხელისუფლება მუღვივად იქნება საზოგადოების დემოკრატიული ზადამხედველოვისა და კონტროლის ალყაში**

# „საერთო გაზეთის“ ვიმართვა საზოგადოებას

პირველ ყოვლისა, გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

„საერთო გაზეთის“ ეს ნომერი, ფაქტობრივად, მთლიანად ეძღვნება ბიძინა ივანიშვილს, რითაც გვსურდა მადლიერება გამოგვეხატა იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის საქართველოს წინაშე.

ამავე ნომერში გამოქვეყნებულ წერილებში ჩვენ შევეცადეთ, სწორად დაგვეჩვენებინა საზოგადოებისთვის იმ გადაწყვეტილების მართებულობა, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა მიიღო პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, რასაც საზოგადოებაში არაერთგვაროვანი გამოხატვა მოჰყვა, ხოლო ოპოზიციის მხრიდან მორიგი სპეკულაციების და დემაგოგიის მთავარ საგნად იქცა.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებაში კვლავ კაცისმკვლელების ბანდა უნდა დაბრუნდეს.

სულ ტყუილად აქვთ ამის იმედი ვიღაც-ვიღაცებს — ქართველი ხალხი „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტების ხელისუფლებაში დაბრუნებას არ დაუშვებს!

ამ რამდენიმე დღის წინათ ნიკა გვარამია, რომელიც, როგორც ჩანს, შიშისგან საბოლოოდ შეიშალა, მეორე შეშლილს, სააკაშვილს, ეთაბიერებოდა, ვინ უნდა შეიწყალოს და ვინ უნდა დასაჯოს, როცა ხელისუფლებაში მოვლენ.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა კიდევ ბევრ შეშლილს, ბევრ ავანტურისტს, ბევრ შემოგზავნილ მტერს გამოაუფლენს, მისი წასვლა — ეს არის ერთგვარი დიდი ლუსტრაცია, დიდი მხილება იმისა, ვინ ვინ არის იქითა მხარეს და, გნებავთ, აქეთა მხარეს.

ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლით ისიც უფრო ნათლად გაირკვევა, ვინ ვართ ჩვენ, ქართველები, სინამდვილეში და, ვიმსახურებთ თუ არა იმას, რომ შემდგარი ერის სახელი გვერქვას.

ახლა გამოჩნდება, ვართ თუ არა ჩვენ ერი, რომელსაც შეუძლია სწორი არჩევანი გააკეთოს, ერი, რომელსაც აქვს ღირსების გრძობა, ერი, რომელსაც შეუძლია დაიცვას საკუთარი ეროვნული ინტერესები, ერი, რომელსაც შეუძლია მკერდით გადაეფაროს თავის ღირსეულ შვილებს, თუნდაც ბიძინა ივანიშვილს, თუ ამის საჭიროება დადგება.

ქართველთა დიდი გამოცდის ფაზა იმ დარწმუნებული ვართ, ამ გამოცდას საქართველო ღირსეულად გაართმევს თავს.

რაც შეეხება „საერთო გაზეთს“, ჩვენი პოზიცია უცვლელია — პოეტის თქმისა არ იყოს, არ ვსდევთ ფაშთა ცვლას, ჩვენ იგივე ვართ მარად და მარად!

„საერთო გაზეთი“  
593 44-04-01

P.S. ჩვენს ძვირფას მკითხველებს ერთი არასასიამოვნო ამბავი უნდა ვაუწყოთ — ამიერიდან „საერთო გაზეთის“ ღირებულება 1,50 ლარი იქნება.

გულწრფელად ვართ შეწუხებული, ამის გაკეთება რომ გვიხდება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს — კორონავირუსთან დაკავშირებულ ფინანსურ პრობლემებს ვერ ვერვით.

თუ ფასის გაზრდის გამო ვინმეს განსაკუთრებული პრობლემა შეგექმნებათ, მიმართეთ რედაქციის მენეჯერს (ბესო ცარციძე — ტელ.: 599 58-72-50). ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ შეძლებისდაგვარად დაგეხმართ.

# „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ VI ყრილობა

2021 წლის 17 ნოემბერს „ქვემოქმედების“ ბაზარში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ VI ყრილობა, სადას პარტიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ირაკლი კობახიძე. ყრილობაზე ასევე დაამტკიცეს პოლიტიკურს ახალი შიშობა-ლობა-ბიძინა-ივანიშვილზე ფრაგმენტებს ირაკლი კობახიძის და ქახა კალაძის გამოსვლებიდან

## ირაკლი კობახიძე - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო!

ჩემი გამოსვლა მინდა დავიწყო მადლობით, მადლობით ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს დაამარცხა სიკრუქსა და ძალადობაზე დაფუძნებული რეჟიმი და საფუძველი ჩაუყარა ახალ დემოკრატიულ წესრიგს, რომელმაც ჩვენს ქვეყანას და ხალხს თავისუფლება, მშვიდობა და უსაფრთხოება მოუტანა.

ბატონ ბიძინა ივანიშვილს ასევე მინდა მადლობა გადავუხადო 2014 წლიდან პირადად ჩემთვის გამოცხადებული ნდობისთვის. მადლობას ვუხდის პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრებს პარტიის თავმჯდომარედ წარდგენისთვის, განსაკუთრებული მადლობა პრემიერ-მინისტრს გიორგი გახარიას, პარლამენტის თავმჯდომარეს, არჩილ თალაკვაძეს და პოლიტიკური საბჭოს, ამ პოლიტიკური გუნდის თითოეულ წევრს გამოცხადებული ნდობისთვის.

მადლობას გიხდით ყრილობის დელეგატებს და ჩვენი პარტიის თითოეულ წევრს ჩემთვის გამოცხადებული ესოდენ მაღალი ნდობისთვის. გაძღვეთ პირობას, რომ მაქსიმალურად დავიხარჯები ამ ნდობის გასამართლებლად.

ჩვენი ქართული ოცნებაა საქართველო, რომელიც არის მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების თანამეგობრობის ევროპული და ევროატლანტიკური ოჯახის სრულფასოვანი წევრი.

სწორედ ამ ოცნებით გაერთიანდა ქართული საზოგადოება 2012 წელს ბიძინა



გუნდს ჰქონდა უამრავი წარმატება. ბუნებრივია, იყო ხარვეზებიც და შეცდომებიც, რომელთათვისაც თვალის გასწორებას ჩვენ არასოდეს შევშინებდით. დღეს, როდესაც „ქართული ოცნებას“ აქვს სახელმწიფოს მართვის რეალური გამოცდილება, როდესაც ჩვენს პოლიტიკურ გუნდს ჰყავს ღირსეული და გამორჩეული ლიდერები, პროგრესული საპარლამენტო და სამთავრობო გუნდი, ღირსეული ლიდერები და წარმომადგენლები ადგილობრივ ხელისუფლებაში, პარტიას შეუძლია ახალი შემართებით განაგრძოს საქმიანობა, რათა ბოლომდე იქნას მიყვანილი ის საქმე, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებული 2012 წლის დემოკრატიული გარდატეხით დაიწყო — ეს არის ჩვენი ქვეყნის გარდაქმნა მთელი თავისი არსით ევროპულ სახელმწიფოდ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ამბიციური გეგმა, შევქმნათ მყარი საფუძვლები, რათა 2024 წელს საქართველომ წარადგინოს ოფიციალური განაცხადი ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობაზე.

გისურვებთ ყველას ბედნიერ და წარმატებულ 2021 წელს.

ერთად საქართველოს წარმატებისთვის კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გამოცხადებული ნდობისთვის. ერთად დავდგეთ საქართველოს წარმატებისთვის.

## ქახა კალაძე - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ბიძინა ივანიშვილის მდივანი

მოგესალმებით, „ქართული ოცნების“ იდეის სულისჩამდგმელმა, ბიძინა ივანიშვილმა, პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. საუბარია ადამიანზე, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე დროს მოვიდა პოლიტიკაში, შეძლო საზოგადოების კონსოლიდაცია მაშინ, როდესაც ყველა იმედი დაკარგული ჩანდა, ჩვენს ხალხთან ერთად დაამარცხა მოძალადე რეჟიმი და საქართველოში თავისუფლების, მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრების გარანტი გახდა.

ამ და შემდგომი დიდი გამარჯვებების მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ ხალხმა მას და მთლიანად ჩვენს გუნდს მესამე ვადით გამოგვიცხადა ნდობა, ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი ნებით, გამარჯვებულმა დატოვა პოლიტიკა და ამ გადაწყვეტილებითაც კიდევ ერთხელ ყველას დაგვანახა თუ რას ნიშნავს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უანგარო მსახურება.

რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის მასშტაბის პოლიტიკური ლიდერის შემდეგ, ძალიან რთულია ამ საპასუხისმგებლო პოზიციის დაკავება, თუმცა, თუკი იმ არაჩვეულებრივი გუნდიდან, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დატოვა, ვინმეს ხელეწიფება საუკეთესო ინტერესების დაცვით უხელმძღვანელოს ჩვენს პარტიას, ეს ირაკლი კობახიძეა.



ივანიშვილისა და ჩვენი პარტიის გარშემო. სწორედ ამ ოცნებამ, ღირებულებებმა და შემართებამ მისცა ჩვენს ხალხსა და პარტიას შესაძლებლობა საფუძველი ჩაეყარა დემოკრატიული გარდატეხისთვის, რამაც შექმნა მყარი საფუძველი საქართველოს ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოსაყალიბებლად.

გასული წლების მანძილზე, ჩვენს

ქართული ოცნების ყრილობაზე პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობა დაამტკიცეს. საბჭოში მოხვდნენ, როგორც ახალი, ასევე, ძველი სახეები.

- 1. ქახა კალაძე — პარტიის გენერალური მდივანი; 2. ვასილ მადლაფერიძე — პარტიის თავმჯდომარის მოადგილე; 3. გიორგი გახარია; 4. არჩილ თალაკვაძე; 5. მაია ცქიტიშვილი; 6. გიორგი ვოლსკი; 7. ირაკლი ღარიბაშვილი; 8. თეა წულუკიანი; 9. მამუკა მდინარაძე; 10. ქახა კუჭავა; 11. ვახტანგ გომელაური; 12. ეკატერინე ტიკარაძე; 13. ვანო მაჭავარიანი; 14. მკა ბოჭორიშვილი; 15. შალვა პაპუაშვილი; 16. მარიამ ქვრივიშვილი; 17. ნიკოლოზ სამხარაძე; 18. სოზარ სუბარი; 19. დიმიტრი სამხარაძე; 20. თორნიკე რიჟვაძე.

„საერთო გაზეთი“  
გამომცემელი: შპს საბაგომთაშობო ცენტრი „საერთო სიტყვა“  
მის: თბილისი, ტაშკენის ქ. 18;  
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.  
E-mail: saertogazeti@yahoo.com  
რეგისტ. №202375349; შპს (სტ) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხალხმძვანალოვს თავისუფალი ჰრანის ჰრინცივით. შესაძლოა, ავტორის ჰოზიციან არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოკვეთიდან ერთი ჰვირის ვალაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.  
იზამტევა შპს „საბაგომთაშობო“ სტაბაგომი; თბილისი, ავლაძის 39 © 2021 წლის 17 ნოემბერი

# ნასვლა, როგორც მოსვლა უფროა...

## ბიძინა ივანიშვილმა თავისი ნასვლით ახალი ფანჯარა გაუხსნა საქართველოს მომავლისკენ

### მასტანბ ხარჩილავა:

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ნაცმოდრაობა“ ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს, როგორც ეს ზოგიერთებს წინასწარ ესიზმრებათ.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა, მაგრამ უცვლელი რჩება ქართველი ხალხის ნომერ პირველი ამოცანა — სააკაშვილი და „ნაცმოდრაობა“ ვერასოდეს ვერ უნდა მობრუნდნენ ხელისუფლებაში.

ეს დაუშვებელია!  
ეს მიუღებელია!  
ეს კატასტროფაა!  
სახელდება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის ერთმანეთის გამოძრეცხავი სხვადასხვა მიზეზი, თუმცა მისი წასვლის საიდუმლო ჯერჯერობით არ გახსნილა.

ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან იმიტომ წავიდა, რომ სააკაშვილი და „ნაცმოდრაობა“ უკან ვერასოდეს მობრუნდეს!



მან ამ თავისი უპრეცედენტო ნაბიჯით მთავარი საბაბი, მთავარი მოტივი გაუნულა მის მოწინააღმდეგეებს, ფაქტობრივად, ქვეყნის მტრებს და მის წინააღმდეგ აგორებულ ფართომასშტაბიან შავ პიარს მთავარი თემა, მთავარი სიუჟეტური ხერხემალი გამოაცალა.

თავისი წასვლით მან აღკვეთა ბნელი ზრახვები იმ ბნელი ძალების, რომლებიც ქვეყნის უბედურების მთავარ მიზეზად სრულიად დაუსაბუთებლად და უარგუმენტოდ ბიძინა ივანიშვილს ასახელებდნენ და მის დასამარცხებლად და გასანადგურებლად მზად იყვნენ ყველაფერზე წასულიყვნენ, მათ შორის შეიარაღებულ სამოქალაქო დაპირისპირებამდე კი.

მათ ეს განზრახვა არც დაუმაღავთ და ამის შესახებ, ფაქტობრივად, ღიად საუბრობდნენ თავიანთი ჯიბის ტელევიზიების ეკრანებიდან არჩევნებამდე კარგახნით ადრე.

როგორც არაერთხელ ითქვა, ეს ძალები არჩევნების მეორე დღესვე აპირებდნენ აეგორებინათ მძლავრი საპროტესტო ტალღა და ძალადობრივი გზით განეხორციელებინათ სახელმწიფო გადატრიალება, რასაც, ცხადია,

გარდაუვალად მოჰყვებოდა სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირება.

ამ სცენარის შესახებ კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის თემურ ალასანიას მიერ გუბაზ სანიკიძესთან საუბრის დროს დეტალურად გაწერილი გეგმის მიხედვით.

საბედნიეროდ, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების, განსაკუთრებით, აშშ-ის ადმინისტრაციის და ევროკავშირის აქტიური ჩარევის შედეგად, მოხერხდა ქვეყნისთვის ამ საბედისწეროდ საზიფათო პროცესების და დიდი ეროვნული კატასტროფის განეიტრალება და თავიდან აცილება, თუმცა პრობლემა არ მოხსნილა და რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მოთხოვნა დღემდე უცვლელი დარჩა.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილებამდე ასევე უცვლელი იყო მთავარი სამიზნე — ბიძინა ივანიშვილის ფიგურა.

ბიძინა ივანიშვილი — ოლიგარქი, ბიძინა ივანიშვილი — არაფორმალური მმართველი, რომელიც ამ უზრუნველს დემოკრატიის განვითარებას, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ხელისუფლების ყველა შტოს უზურპირებას ახდენს და ქვეყანას დიქტატურისკენ მიაქანებს, ბიძინა ივანიშვილი ყველას და ყველაფერს ყიდულობს და თავის ინტერესებს უქვემდებარებს, ბიძინა ივანიშვილმა სახელმწიფო მიიტაცა — აი, ასეთ სულელურ და დემაგოგიურ ბრალდებებს უყენებდნენ ნაციონალები და ნაციონალებს მიყიდული სხვა ქარაქუცა პარტიები ბიძინა ივანიშვილს და



ქვეყნის გადარჩენის, ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის ერთერთ გარანტიად პოლიტიკიდან ბიძინა ივანიშვილის წასვლა მიაჩნდათ, თუ არადა, სახელმწიფოს აყირავებით, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებით, დესტაბილიზაციის და სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებით იმუქრებოდნენ.

და, აი, ბიძინა ივანიშვილი იღებს ყველასათვის მოულოდნელ გადაწყვეტილებას და პოლიტიკიდან მიდის, რითაც დესტრუქციული ძალები, ფაქტობრივად,

რივად, განაიარაღა, გამოაცალა მთავარი სამიზნე, მთავარი მოტივი და საბაბი, რასაც შეიძლება ქვეყნისთვის მძიმე შედეგები მოჰყოლოდა.

ბიძინა ივანიშვილი საღად და პრაგმატულად მოაზროვნე კაცია და ის არ შეიძლება არ აცნობიერებდეს იმ საფრთხეებს, რომლებიც მისი პოლიტიკიდან წასვლასთან არის დაკავშირებული.

მართლაც არ არის ადვილი გასარისკი დათმო ძალაუფლება, დათმო პარტია, დათმო თავდაცვის ყველა ბერკეტი და მარტო, ხელშიშველი დარჩე შურისძიების ცხოველური ჟინით შეპყრობილი ვერაგი და დაუნდობელი მოწინააღმდეგის წინაშე.

ეს რომ გააკეთო, ძალიან მამაცი და უშიშარი ადამიანი უნდა იყო.

ბიძინა ივანიშვილმა გარისკა (ეს უკვე მერამდენედ!), რომ საქართველოში იყოს მშვიდობა, დემოკრატიის, ეკონომიკის, ქვეყნის სულიერი და კულტურული განვითარების პერსპექტივა, სამუდამოდ წაიშალოს და გაქრეს ავტორიტარიზმის, დიქტატურის, ერთპიროვნული მმართველობის თუნდაც მინიმალური და მკრთალი კონტურები.

რაც ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა, ფაქტობრივად, ეს არის კიდევ ერთი მსხვერპლშეწირვა, კიდევ ერთი თავდადებული ნაბიჯი ქვეყნის სასიკეთოდ.

**ბიძინა ივანიშვილის მსჯავსავე თავისი მნიშვნელოვანი არაფორმალური ჩამოშორება ბიძინა ივანიშვილის მოსვლას ქართულ პოლიტიკაში, რომელმაც მთლიანად შეცვალა ქართული პოლიტიკის სახე და შინაარსი, შეცვალა და შეაჩერა თავდადმართვით დაქანებული საქართველოს კატასტროფული ვარდნის პროცესი დიქტატურისკენ, ფაშისმისკენ. შეცვალა ქვეყნის ბედი და შეცვალა თითოეული ჩვენგანი.**

ეს წასვლაც ძალიან ბევრ რამეს შეცვლის თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაში, შეცვლის ხავერდოვნად, მკვეთრი რყევების გარეშე, შეცვლის ევოლუციის და ეტაპობრივი განვითარების გზით.

ბიძინა ივანიშვილმა თავისი წასვლით ახალი ფანჯარა გაუხსნა საქართველოს მომავლისკენ,



ფანჯარის ახალი, მძლავრი ნაკადი შემოუშვა ქართული პოლიტიკის დამძიმებულ ატმოსფეროში.

ეს წასვლა მოსვლა უფროა, ვიდრე წასვლა...

ეს წასვლა ახალი იდეების, ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ფილოსოფიის და ახალი კონცეფციების მოსვლის წინაპირობა, უფრო ზუსტად, სხვანაირი და სხვაგვარი ხვალისდელი დღის წინააღმდეგა.

●  
ხშირად მიწევს გასული საუკუნის 90-იანი წლების და დღევანდლობის შედარება, რადგან 30 წლით დაშორებული ეს ორი დრო ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

მაშინ, 30 წლის წინათ, ზვიად გამსახურდიამ რომ აქტიური პოლიტიკიდან წასულიყო, შეიძლება დღეს ცოცხალი ყოფილიყო, კვლავ პოლიტიკაში ყოფილიყო და საქართველოსაც ბევრი განსაცდელი არიდებოდა.

ძალიანაც რომ ნდომებოდა, შეუძლებელი იყო მაშინ ამის გაკეთება — უბრალოდ, ხალხი არ მისცემდა ამის საშუალებას, დალატად ჩაუთვლიდა.

თუმცა, რამდენადაც მახსოვს, ზვიად გამსახურდიას საერთოდ არ უნდოდა რაიმე თანამდებობა, მათ შორის, არც პრეზიდენტობა.

ნაციონალები ბევრს რომ ქირქილებენ, განა მათი „ძლევაძოსილი“ ლიდერი არ იყო, 2007 წელს რომ „წავიდა“, 2008-ში ისევ „მოვიდა“, მერე 2012-ში „წავიდა“ და მას შემდეგ „მოდის“ და „მოდის“.

შევარდნამეც გადადგა თუ წავიდა სოხუმის „დაცემის“ შემდეგ, მაგრამ დაუბოქეს, შეეხვეწენ, არ წახვიდო და იმანაც გადაიფიქრა, სამაგიეროდ, 2003 წელს მართლა წავიდა და მას მერე არ მობრუნებულა.

ბიძინა ივანიშვილის პირველი და მეორე წასვლა პოლიტიკიდან, აბსოლუტურად განსხვავებული მოვლენაა ზემოთხსენებულ შემთხვევებისგან, რომლებიც საკუთარი პოლიტიკური ინტერესების და კარიერისტული მიზნების გასამყარებლად გამოყენებული პიარტექნოლოგიის ელემენტები იყო, რომლებიც უკან, წარსულისკენ დაბრუნებას და იქ მყარად გამაგრებას ისახავდა მიზნად, ბიძინა ივანიშვილის წასვლა კი, როგორც წესი, განახლებისკენ, პროგრესისკენ, განვითარებისკენ, მომავლისკენ მიმართული ქმედებაა.

**ბიძინა ივანიშვილმა პროლიტიკაში მოსვლიდან პოლიტიკიდან წასვლამდე, დროის მცირე მომენტებში, სულ რაღაც 8 წლის განმავლობაში, ქართულ პოლიტიკაში ნამდვილი რემოლუსიონი მოახდინა — წერტილი დაუსვა „ნაცმოდრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალურ რეჟიმს, რომელიც, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, კიდევ დიდხანს იბოვებოდა და საბოლოოდ მოუღებდა ბოლოს საქართველოს, გზა გაუხსნა ახალგაზრდა თაობას დიდი პოლიტიკისკენ, ფაქტობრივად, შექმნა ახალი, თავისუფალი, დასავლურ სტანდარტებთან მიახლოებული სივრცე პოლიტიკური ცხოვრების განვითარებისთვის.**

ასე რომ, ბიძინა ივანიშვილის მიერ გაწეული სამსახური საქართველოსთვის სულაც არ განიზომება მხოლოდ მისი უპრეცედენტოდ მასშტაბური ქვემოქმედებით, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის განვითარების კარგად აწონილ-დაწონილი გეგმის ნაწილია და არა უბრალო ქვემოქმედება.

# რაბომ ნაპილა ივანიშვილი დღეს და არა გუშინ?

## ვფიქრობ, ახალი ძალის შესაქმნელად საკმარისად დიდი ბაზა არსებობს. მბონია, რომ სწორედ ამ ბაზის არსებობამ მისცა საფუძველი ივანიშვილს ეს ნაბიჯი გადაეღო

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ ივანიშვილის პოლიტიკიდან მოულოდნელ წასვლას?  
— დადებითად. ამ ნაბიჯის შეფასებისას ყურადღებას სხვადასხვა საკითხზე ამახვილებენ — ზოგი ამბობს, თითქოს, უმადურობა მობეზრდა, ხელი ჩაიქნია და წავიდა, ზოგის აზრით, შესაძლო უსიამოვნებებს გაერიდა — სანქციებს და ა.შ., ოღონდ, ეს ცოტა გაუგებარია — თუ სანქციები ელოდა, პირიქით, ამის გაკეთება უფრო ადვილია პოლიტიკას ჩამოშორებული ადამიანის მიმართ, ზოგიც თვლის, რომ ნაადრევად წავიდა, რადგან ქვეყნის წინაშე სერიოზული პრობლემები

განა, შეიძლება მისი ოცნება ეს ყოფილიყო — ნეტავ, მანაზა ჩემი გუნდი უნემოდ არჩევენში რას გააკეთებო. ცოტა არაბუნებრივია ასეთი რამის დაშვება. მით უმეტეს, რომ მოხდა უნიკალური რამ — „ქართულმა ოცნებამ“ არჩევენში მესამედ გაიმარჯვა. ივანიშვილისთვის ამ მესამე გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი, სულაც არ ნატრობდა იმას, რაც შემოთ მოგახსენეთ. მაშინ, შემდეგ რამეზე უნდა გვეფიქრა: თვითონ ზომ დაშორდა თავის პარტიას და ბარემ, ეიძულებინა რეიტინგიანი წევრები — გახარია, კალაძე პარტიიდან გამოსულიყვენ და „ქართული ოცნება“ ურეიტინგო წევრების ამარა დაეტოვებინათ და ენახათ — გა-

რეანიმაცია იქნებოდა. მკაფიოდ ჩანს, რომ ასეთი რამ ივანიშვილს დაუშვებლად მიაჩნია. მას დაუშვებლად მიაჩნია დღეს არსებული წამყვანი პოლიტიკური ოპოზიციის ხელისუფლებაში მობრუნება და ამავე დროს, მისთვის სანატრელია ახალი ოპოზიციური ძალის დანახვა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ დაამარცხებს. ანუ, საუბარი იმაზე კი არ მიდის: აბა, თანაბარია თუ არა ძალები დღევანდელ ოპოზიციასთან, სპორტული შეჯიბრის აზარტი კი არ არის, არამედ საქმიანი საუბარია იმაზე თუ როგორ პოლიტიკურ ხელს შეიძლება გადააბაროს ადამიანმა ქვეყანა. „ნაციონალების“ ხელში ქვეყნის ჩაგდება, დაუშვებელია. ვხედავთ, რომ მას სურს გაჩნდეს ალტერნატივა იმ პარტიისა, რომელსაც დღეს უჭირავს ქვეყნის საჭე. ანუ, გაჩნდეს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლება ქვეყნის სწორი გზით მართვა. ამაზეა საუბარი.

— საუბრობენ, რომ ახალი ძალის შექმნას ივანიშვილი თავად აპირებს. ეს რამდენად რეალურია და რა ბაზაზე შეიძლება მან ახალი პარტია შექმნას?

— არ ვიცი, მიჭირს ლაპარაკი იმიტომ, რომ მეტისმეტად მცირე დროა გასული. ფაქტია, რომ გინდ ახალი პარტია შეიქმნას, გინდ ძველი გარდაიქმნას, „ქართულ ოცნებასთან“ დაპირისპირებაში ყოფნა, ნებისმიერი ახალი პოლიტიკური ორგანიზმისთვის, ძალიან მხელი იქნებოდა თუ მმართველი გუნდის სათავეში კვლავ ივანიშვილი იქნებოდა. ასე, ფაქტობრივად, ივანიშვილთან დაპირისპირებას მივიღებდით, რაც იმთავითვე წამყვანი მდგომარეობაში ამყოფებდა ნებისმიერ პოლიტიკურ არსებას, პარტიას, რომელიც პოლიტიკაში შეაბიჯებდა. აი, ამ მხრივ, გაუთავისუფლა მან გზა სიახლეს



— „ქართულ ოცნებას“ გაცივდა და მასთან კონკურენცია ადვილი გახდა სწორედ თავისი ფაქტორის გამოყვანით. ოღონდ, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ მინცლამინც, თვითონ ქმნის ახლა ამ პარტიას და ა.შ. ფაქტია, რომ მან „ქართული ოცნების“ კონკურენტუნარიანობა შეამცირა. მერე, რა პროცესებზეა საფიქრალი, ეს უკვე სხვა საკითხია. ვფიქრობ, ახალი ძალის შესაქმნელად საკმარისად დიდი ბაზა არსებობს. მბონია, რომ სწორედ ამ ბაზის არსებობამ მისცა საფუძველი ივანიშვილს ეს ბანიჯი გადაეღო. ჯერჯერობით, არ დავკონკრეტდები. მოვა დრო და ექსკლუზიურად გაგანდობთ ვინ არის ეს ახალი ძალა ჩემი მოსაზრებით.

— წელან ახსენეთ: ივანიშვილის აზრით, „ქართული ოცნება“ მყარად დგას ფეხზე. თქვენც ასე მიიჩნევთ, რომ ეს პარტია მყარად დგას ფეხზე და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს ივანიშვილის გარეშე გაუმკლავდება?

— იცით რა, როცა ვამბობთ: მყარად დგას ფეხზე, გააჩნია სიტუაციას, რას ვგულისხმობთ. ვაჟაკი კაცი ფეხზე მყარად დგას, ზომ. ასევე, პატარა ბავშვიც და ასაკოვანიც. ყველა დგას ფეხზე, მაგრამ ქარიშხალი როცა ატყდება, რომელიღაც უფრო ადვილად წაიქცევა. მაგალითად, პატარა ბავ-

ში და მოხუცებული. იქამდე, ზომ იდგნენ მყარად? — იდგნენ იმიტომ, რომ მათ არაფერი ეჯახებოდა. ნიავი თუ დაუბერავს არცერთი არ წაიქცევა. „ქართული ოცნება“ როგორც პარტია მყარად დგას იმ წინააღმდეგობის, იმ ალტერნატივის პირობებში, რის წინაშეც დღეს არის. საზოგადოებას აქვს ორი არჩევანი — ხმა მისცეს ან „ქართულ ოცნებას“ ან ხმების წართმევას, ადამიანთა მოკვლას, ძალადობას, ტყუილს. ასეთია ალტერნატივა.

— მაგრამ თუ ქარიშხალი ატყდება, რა ბედი ელის „ქართულ ოცნებას“?

— ქარიშხალი უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს ნიშნავს. იგი თუ გაჩნდა, მერე, უკვე „ქართული ოცნების“ ოპოზიციამ გააძვინა რეალური იქნება. ივანიშვილიც ამას ამბობს: მინდა ვიხილო პარტია, ვინც „ქართულ ოცნებას“ ოპოზიციამ გააძვინა, ოღონდ, ეს 4-5 წელიწადში იქნება.

— დაიხ, ივანიშვილის აზრით, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში კიდევ 4-5 წელს იქნება. რეალურად, ამ გუნდის ავტორიტეტი საკმაოდ დაბალია. ხალხმა ეს გუნდი არ მიიღო, ამიტომაც გააქცათ ბევრი მხარდამჭერი. თავად, ივანიშვილიც წავიდა, ეს ნიშნავს რომ პარტია არ ვარგა?

— ქმარი სამსახურიდან მშვი-



— კოვიდი, ეკონომიკა და ა.შ. პირადად, მიმჩნია, რომ რამდენიმე თვალსაზრისით სწორი, დროული ნაბიჯი გადადგა.

— რას გულისხმობთ? ფიქრობთ, რომ წასვლის დრო სწორად იყო შერჩეული?

— გააჩნია, რატომ წავიდა.

— გაგვანდეთ თქვენი მოსაზრება — რატომ წავიდა?

— მან საკმაოდ ბევრი საფიქრალი დატოვა. წერილში აღნიშნა: მიდის, რადგან დაინახა, რომ მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული პარტია — „ქართული ოცნება“ უკვე მყარად დგას ფეხზე და მისი იქ ყოფნა ზედმეტია. ასევე, თქვა, რომ აღარ დაბრუნდება, რაც შემდეგი მიზეზით ახსნა: თუ ყველაფერი კარგად წარიმართა მისი კვლავ პოლიტიკაში მოსვლის აუცილებლობა აღარ არის და თუ საქმე ცუდად წავიდა ე.ი. მე ვერ გამოიკეთებია რაღაც სათანადოდ და რისთვისღა დაგბრუნდეთ. ეს ყველაფერი შესაძლებელს ხდის პასუხი გავეცეთ კითხვას: რატომ წავიდა იგი დღეს და არა გუშინ ან გუშინწინ. ზოგმა თქვა: არჩევენებამდე უნდა წასულიყო და უფრო თანასწორ ბრძოლას ვიხილავდით. ამ პოზიციის ავტორისთვის ივანიშვილის ამოცანა ყოფილა თანასწორი ბრძოლა გვენახა, ზომ.

იმარჯვებდა თუ არა. ასე ფიქრი საბავშვო ბაღს ჰგავს. ივანიშვილმა არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა: სურს „ქართული ოცნება“ ოპოზიციამ ნახოს და ნატრობს: გაჩნდეს პარტია, რომელიც მას ოპოზიციამში გადაიყვანს. თუმცა, მას არასად უხსენებია, რომ ასეთ პარტიას დღევანდელ პოლიტიკურ სექტორში ხედავს. პირიქით, მან ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებას: დღევანდელი პოლიტიკური სექტორის წამყვანი ოპოზიციური ძალა — „ნაციონალიზმი“ და მისი განყოფილება დანაშაუვნი არიან იმაში, რაც წარსულში ხდებოდა. ამიტომ, მათი უკან მობრუნება არ შეიძლება. პრაქტიკულად, საზოგადოებაც მომწიფდა საიმისოდ, რომ „ნაციონალიზმი“ ხელისუფლებაში არ მოუშვან. ანუ, არსებულ ოპოზიციამ ივანიშვილი ვერ ხედავს იმ ძალას, რომლისთვისაც ხელისუფლების გადაბარება შეიძლება. ეს იგივე ძალაა, რასაც საქართველო, ქართველი ხალხი 2012 წელს გაეცა. ამიტომ, მასთან მიბრუნება დაუშვებლად მიაჩნია. როგორც აღვნიშნე, ბევრი ამბობს: ივანიშვილი არჩევენებამდე უნდა წასულიყო. ასეთი საქციელი ზომ ამ ოპოზიციის გამარჯვებაზე მინიშნება იქნებოდა. ანუ, ეს 2012 წლამდე ხელისუფლებაში არსებული პოლიტიკური ძალების ხელახალი



რი მოვიდა, ცოლი ეუბნება: სადილი დამეწვავო. თუ შეჭამს სადილს უგემური, დამწვარი უნდა ჭამოს თუ არადა მშვიერი დარჩეს. როგორ მოიქცევა ქმარი?

— მაგალითად, მე, მშვიერი დავრჩები.

— თქვენ და ალბათ, ბევრი სხვაც მშვიერი დარჩებოდა როგორც პიროვნება, მაგრამ ქვეყანას ხომ ვერ დატოვებ ხელისუფლების გარეშე, მას ხომ ვერ აშიშვლებ, უნდა აირჩიო იქედან, რაც გაქვს. საერთოდ, პოლიტიკა არის არჩევანი იქედან, რაც გაქვს. მალაზიაში ჩაზვედით კაბის საყიდლად, მაგრამ არ მოგეწონათ, საერთოდ არ იყიდით იმიტომ, რომ სხვა მაღაზიებიც არსებობს, ხომ. მაგრამ თუ ისეთი პირობა შეგექმნათ, რომ ხელცარიელი ვერ დაბრუნდებით, ხომ ეცდებით სხვებთან შედარებით რომელიც უფრო მისაღები იქნება, იმით დაიმშვენოთ ხელი. შეიძლება არცერთი გუნდი არ მოგწონს, მაგრამ რომელიც უფრო მისაღები იქნება ის უნდა აირჩიო. „ნაციონალურებთან“ შედარებით „ქართული ოცნება“ უფრო მისაღებია. ეს არ ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ იდეალურია. თუ იგი იდეალური აღმოჩნდება და ახლადმოხულ ძალასაც აჯობებს, მაგას რა სჯობს, კარგად გვექონა საქმე.

თული საზოგადოებისგან გვერდზე გადგება — რაც მოგევა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

— პირველად როცა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, მან ტირანია ჩამოგვაშორა, შემდეგ დაბრუნდა, რათა პოლიტიკური სისტემა შეექმნა და ახლა, წავიდა, რადგან დაინახა, რომ ხალხმა საკმარისი პოლიტიკური გამოცდილება შეიძინა?

— დიახ, თვლის, რომ საზოგადოებამ საკმარისი პოლიტიკური გამოცდილება შეიძინა და თავად პოლიტიკიდან წავიდა, რათა ხელი შეუწყოს მომავალი არჩევნებისთვის დონორი ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას. იგი ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ 4-5 წელიწადი, უპრობლემოდ იქნება ხელისუფლებაში. ეს დრო ხომ ფაქტობრივად, მომავალი არჩევნების თარიღია. ისევ დავსვით კითხვა: რატომ წავიდა ივანიშვილი დღეს და არა გუშინ? — იმიტომ, რომ „ქართულ ოცნებას“ მესამედ უნდა გაემარჯვა და საზოგადოება „ნაციონალურებთან“ არ უნდა გადახრილიყო. რატომ წავიდა დღეს და არა ხვალ, ზევ? — იმიტომ, რომ ახალ პოლიტიკურ ძალას — „ქართული ოცნების“ ალტერნატივას იმის საშუალება მიეცეს, რომ მომავალი არჩევნებისთვის შეიქმნას, ჩამო-

ციები გარკვეული პარტიების დონის მიხედვით და არა საზოგადოების პროტესტი, რის გამოც ამ აქციებმა მასშტაბი ვერაფრით შეიძინა. ამ პროცესს თუ დაეკვირდებით, მაშინ სააკაშვილთან დაპირისპირება ივანიშვილს არ უნდა დაბრალდეს. სააკაშვილთან საზოგადოება დაპირისპირებული. შესაბამისად, „ქართული ოცნებისთვის“ მიუღებელი თუ იქნება ის პირობები, რითაც „ნაციონალურებთან“ ანუ, სააკაშვილის პარტია ხელისუფლებასთან ურთიერთობაში შემოდის, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ივანიშვილს, არამედ საზოგადოებას უნდა უწევდეს ანგარიშს საიმისოდ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალურებს“ რაიმე თუ დაუთმო, საზოგადოება იტყვის მასზე უარს. ვისაც დღეს „ქართული ოცნება“ არ მოსწონს, მათი დიდი უმრავლესობა ამ პარტიით უკმაყოფილო სწორედ იმიტომ, რომ მმართველმა პარტიამ „ნაციონალურებს“ მიმართ საკმარისი სიმკაცრე ვერ გამოავლინა.

— სააკაშვილი ახსენეთ. ბევრი ფიქრობს, რომ რაც 2012 წელს დავიწყეთ, ახლა, ხელახლა უნდა დავიწყოთ, მაგრამ როგორ, როცა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა. სამაგიეროდ, არსად წასულა სააკაშვილი თავისი მხარდამჭერებით, მძლავრი ტელევიზიებით. ეს

ლია. თუ საზოგადოებამ თავად არ დაიჯერა, რომ ყოჩის გარეშე რამე შეუძლია და ჩათვალა, რომ თვითონ მხოლოდ ცხვრის ფარაა, ასე, რა თქმა უნდა, სააკაშვილიც გაიმარჯვებს და მასზე უარესიც. გერმანია გაცილებით დიდი ქვეყანა იყო კულტურით და უამრავი სხვა თვისებით, მაგრამ ჩათვალა, რომ პიტლერი რასაც ეტყოდა, ეს იყო ჭეშმარიტება და შედეგად, სადამდეც მივიდა კი ვნახეთ.

— რაც შეეხება რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნას. ივანიშვილის ეს ნაბიჯი მეტ ლოგიკას ხომ არ შესძენს მის დანიშნულს და ვინ გაიმარჯვებს ამ შემთხვევაში — ნაციონალურები თუ ივანიშვილის გარეშე დარჩენილი „ქართული ოცნება“?

— ისევე, ძველ თემას ვუბრუნდები. თუ ამ ხალხს „ნაციონალურები“ უნდა, მაშინ მათ აქვთ მეტი შანსი. თუ არ უნდათ „ნაციონალურები“ მაშინ „ქართულ ოცნებას“ აქვს მეტი შანსი. ხალხმა თავად უნდა გააკეთოს არჩევანი.

— მაინც, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი ივანიშვილმა — განაწევნა და „ქართულ ოცნებაზე“ ქართველ ხალხზე თუ ორივეზე ერთად?

— არა, იქნებ არც განაწევნა და რაგორც ზემოთ ვთქვით: პოლიტიკური სიხლვე უნდა. 8 წელიწადია „ნაციონალურებთან“ ოპო-

ლის გაჩენის სტიმულირებით, ისევე და ისევე, ქართული პოლიტიკური სპექტრის გაჯანსაღებას უწყობს ხელს? იქნებ, ამ ნაბიჯით ხელს უწყობს არამარტო „ნაციონალურებს“ მოშორებას რაც 2012 წელს გააკეთა, არამედ მის ხელისუფლებისაგან კიდევ უფრო მეტად დაშორებას. იქნებ, ცდილობს „ნაციონალურების“ წამყვანი ოპოზიცია აღარ იყენონ, საერთოდ, აღარ იყენონ ხელისუფლების ალტერნატივას გაჩენისკენ გადადგა პოლიტიკიდან წასვლის ნაბიჯი.

— თქვენი პროგნოზით, როგორ გაგრძელდება უახლოეს პერიოდში პოლიტიკური ცხოვრება?

— რა მოგახსენოთ. პოლიტიკური ცხოვრება რას ჰქვია? პარტიებს რომლებიც ნულოვანი ბარიერის დაშვებას ითხოვენ, მხოლოდ საკუთარი თავი აინტერესებთ — შევლენ თუ არა პარლამენტში. ნულოვანი ბარიერი ხომ მოსახლეობას არაფერში გამოადგება. ვინ, ხელახალი არჩევნები ავიღოთ — მოსახლეობის ბედ-იღბალს ეხება? ასე, რომ მათი მხარდაჭერა, პრაქტიკულად, მიმავალი შეგვარებულ ადამიანებზე დგას. ერთ-ერთმა „ნაციონალურების“ მფლობელმა „აღმანებლის სტრატეგიის“ იდეა შეაფასა. კერძოდ, მათ თქვეს: მიმა თუ პოლიტიკას



— ივანიშვილი წავიდა პოლიტიკიდან, „ქართული ოცნებიდან“, კონსულტაციებს არ გავწევ, არავინ დამირეკოსო. როგორ მოიქცეს ის 950 ათასი ადამიანი, ვინც მის გამო მისცა ამ პარტიას ხმა?

— ვინ მისცა ივანიშვილის გამო ხმა? ის რომ არა, ანუ, ხმას „ნაციონალურებს“ მისცემდნენ?

— ფაქტია, რომ ივანიშვილს ავტორიტეტს მისცეს ხმა და არა კობახიძის ან თალაკვაძისას. ახლა, გვეუბნებიან: ეს არ არის ის პარტია, რომელსაც ხალხი უნდა გაჰყვებოდეს?

— ხალხს რა არჩევანი აქვს — ან „ქართული ოცნება“ ან „ნაციონალური“ ხომ. ამ არჩევანში აირჩია ხალხმა „ქართული ოცნება“ თუ რადგან ივანიშვილი იყო იქ, მხოლოდ იმიტომ? მან ტელე-ინტერვიუმში თქვა: თუ ხალხი, ამ პირობებში, „ნაციონალურებს“ აირჩევს, ე.ი. მათი ღირსი ყოფილა და ჩემს დაბრუნებას, საერთოდ, რა აზრი ექნებაო. აქამდე, ტექსტი ასეთი იყო: ხალხის კულტურა გაიზარდა და მან „ნაციონალურებს“ და „ქართულ ოცნებას“ შორის არჩევანი გააკეთა. მაგრამ თუ ივანიშვილი არის ამ არჩევანის საფუძველი, მაშინ გამოვა, როგორც თვითონ ამბობს, მას მიზნისთვის ვერ მიუღწევია, ხალხში პოლიტიკური კულტურა ვერ აუმაღლებია და მაშინ ქარ-

ვალბდეს. აი, ამიტომ წავიდა იგი დღეს და არა გუშინ, ხვალ ან ზევ, რათა მოსახლენი მომხდარიყო.

— ბატონო რამაზ, ჯერ არ გარკვეულა ერთპარტიული იქნება პარლამენტი თუ ოპოზიცია შევა. ამ ფონზე, როცა პროცესი დასრულდება არ არის, ხომ არ მოახდენს ივანიშვილის წასვლა უარყოფით ზემოქმედებას?

— არ მგონია ივანიშვილის წასვლამ ამ პროცესში რაიმე როლი შეასრულოს. იმიტომ, რომ „ნაციონალურების“ მიმართ ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ივანიშვილს ხომ არ ჰქონდა. ანუ, „ქართული ოცნება“ იმიტომ ხომ არ არის „ნაციონალურების“ წინააღმდეგი რომ ასე ივანიშვილს უნდა. თუ პარტია თვლის რომ ასეა და ივანიშვილის ხაზით ინარჩუნებს წინააღმდეგობას, მაშინ გაუგებარ პროცესებთან გვაქვს საქმე. იმიტომ, რომ მხოლოდ ივანიშვილის დამსახურება არ არის ის, რაც ქართველმა ხალხმა გააკეთა. ასეთი სურათის შექმნას ცდილობს სააკაშვილი. ვინც საქართველოში მოვლენებს აკვირდება, ასევე, საპროტესტო მუხტის სხვადასხვა გამოვლინებას, მიხვდება: რაც სააკაშვილის დროს იყო, პრაქტიკულად, დღეს აღარ არის. ახლა, პარტიული საპროტესტო გამოვლინებები და არა საზოგადოების. დიახ, საპროტესტო აქ-

რა არის, ისევე „ნაციონალურებს“ ვაბარებთ ხელისუფლებას?

— ჯერ ერთი, თუ ასე დგას საკითხი — ივანიშვილი აღარ არის და ამიტომ, ხელისუფლებას „ნაციონალურებს“ ვაბარებთ, მაშინ უნდა ჩავაბაროთ-კიდევ. წარმოიდგინეთ, რას მოუტანდა ივანიშვილი თითოეულ ჩვენგანს, რომ არ ყოფილიყო ის ათასობით მოხუცი, ვინც დაიფინა არჩევნებზე უნდა მივიდეთ და პატრონებს თავი საარჩევნო ყუთთან ხელით მიავანან, ასევე, მოქცენენ ინვალიდები. დიახ, იმ თავგანწირვის სტიმული, რაც ხალხმა 2012 წელს გამოავლინა, რა თქმა უნდა, ივანიშვილი იყო. საზოგადოებამ დაინახა, რომ ასეთი პიროვნება ჩაუდგა ქვეყანას სათავეში და ე.ი. ბრძოლა აზრს იძენდა. მაგრამ ივანიშვილი მარტო რომ მდგარიყო სააკაშვილის წინაშე, ბრძოლას ვერ მოიგებდა. მან მოიგო იმიტომ, რომ მის ზურგს უკან მთელი საზოგადოება დადგა. იგი ახლაც თვლის, რომ საზოგადოებას მოგება შეუძლია. რვა წლის განმავლობაში „ნაციონალურებს“ არცერთი არჩევნები, არცერთი მანდატი არ მოუგიათ. იმიტომ, რომ ეს არ სურდა საზოგადოებას, თორემ, ყველა მანდატის გარეშე ივანიშვილი ხომ არ იბრძოდა. თავად ივანიშვილს აქვს ამ ხალხის რწმენა, რომ მას, უკვე, საკუთარი ინტერესებისთვის ბრძოლა შეუძ-

ზიციაშია, ელოდება როდის დაუცდება „ქართულ ოცნებას“ ფეხი და შეცდომას მერე თავის სასარგებლოთ გამოიყენებს. ამ პირობებში, არც „ქართული ოცნება“ ვითარდება. ეს ხომ ოპონენტობა, პოლიტიკური ბრძოლა არ არის, არამედ ფიზიკური. გახსოვთ, ხომ პარლამენტში ბოქლომების დაკიდება, ნივთიერებების დასხმა და ა.შ. ეს ხომ პოლიტიკა არ არის. „ნაციონალურებს“ კი არ აკრიტიკებენ, არამედ შეურაცხყოფას აყენებენ, აბულინგებენ. კრიტიკა და ბულინგი ხომ სხვადასხვა რამეა. ბულინგი ძალადობაა. კრიტიკა არის მოსაზრებათა მწკობრი სისტემა, რომელიც შეიძლება გაითვალისწინო, შეიძლება — არა. პოლიტიკური ოპონენტია, რეალურად, არ გვყავს. პოლიტიკური მტერი — კი, ბატონო. ამ პირობებში „ქართული ოცნება“ ვერ ვითარდება. საჭიროა ნორმალური პოლიტიკური ოპონენტობა. ივანიშვილი სწორედ ამიტომ წავიდა, რათა ნორმალური პოლიტიკური ოპონენტობა გაჩნდეს და ქვეყნის პერსპექტივისთვის თანაბარი რისკი იყოს. „ნაციონალურების“ ქვეყნის დათმობა არ შეიძლება. ჯანსაღი პოლიტიკური ოპონენტობა თუ გაჩნდება, „ნაციონალურებს“ ძირს ჩაიწევს. იქნებ, ეს არის ივანიშვილის წასვლის მიზეზი? იქნებ, იგი თავის წასვლით და ახალი ძა-

მოშორდება, კარგი იქნებაო. ცისკარიშვილი გამოეხმაურა: ეტყობა, მათ უნდათ „ნაციონალურებს“ ისეთივე სამ-პროცენტობანი პარტია გახედეს, როგორც თვითონ არიანო. ეს საინტერესო ფრაზაა. ჯერ ერთი, გამოდის, რომ ისინი აღიარებენ იმ პროცენტებს, რაც არჩევნების შედეგად მიიღეს. მეორე, აღიარებენ, რომ ეს მათი, როგორც პარტიის პროცენტი კი არ არის, არამედ მიმასი.ე.ი. „ნაციონალურებს“ როგორც რაღაც პროცენტის მქონე, პარტია არც არის, არამედ ამ პროცენტის მატარებელი სააკაშვილია. ეს ნიშნავს, რომ მართლა სექტანთან გვაქვს საქმე. პოლიტიკის ისტორიაში ხშირად ხდება ასე — პიროვნებისადმი თავყანისცემა. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ აღნიშნული მხარდამჭერები იმ პოლიტიკური კურსის მომხრეები არიან, არამედ მისი როგორც პიროვნების. ასე, რომ პოლიტიკური ალტერნატივა, დღეს, არც მანდ არ არსებობს. „ნაციონალურებს“ ალტერნატივა იმდენად რამდენადაც იქ, მიმა, თორემ ოპონენტის მთელი სპექტრი ურეიტინგოა, მოსახლეობას ისინი არ უნდა. საჭიროა ის ძალა გამოჩნდეს, ვინც მოსახლეობის მხარდაჭერას მოიპოვებს.

თამარ შველიძე  
555 23 28 24

# გაპარჯვები ულავი ბრძოლას არ წყვებენ!



ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა. როგორც "პირველი არხისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მეგობრებთან ურთიერთობას გააგრძელებს, მაგრამ საჯარო პირი აღარ იქნება. სანამ ჩემს მოსაზრებებს გამოვთქვამ, მინდა, ერთი კარგი ადამიანის, თუა ჟამბუტაშვილის წერილიდან ამონარიდი გაგაცნოთ:

„ხუთი წლისა ფეხშიშველი ბატებს მწვემსავდა, ოჯახს ეზმარებოდა. ერთი სათამაშოც არ ჰქონია. ველოსიპედი ძალიან სდომებია. დედას უთქვამს, კაკალს გაყვიდი და გიყიდიო. მთელი გულით აგროვებდნენ, მაგრამ თანხა მაინც არ ეყოთ...“

მერვე კლასში ექსკურსიისთვის 10 მანეთი ყოფილა საჭირო. ეს რომ გაუგია, თანატოლებისგან შორს დამდგარა. დირექტორის კითხვაზე, რა მოხდაო, უპასუხია – ვერ წამოვალ, მასწავლებლოო. მიზეზი არ უთქვამს. იქნებ, 10 მანეთი დედას როგორმე ემოვნა კიდევ, მაგრამ ოჯახს ლუკმა ვერ მოაკლო. მისი ექსკურსიის თანხა დირექტორს ჩუმად დაუდია.

წლების შემდეგ სხვისი გაწვდილი ხელი არ დავიწყებია, როგორც ამბობენ, მამამისზე ნაკლები პატივი არ მიუგია. ცოცხალსაც ეპატრონა და მიცვალებულსაც. იმასაც ამბობენ, დირექტორის შვილს მინისტრის ხელფასს უხდიდაო. ნაყინს ვერ ყიდულობდა და ერთი კეთილი კაცი ხშირად ჩუქნიდაო. არც ეს კაცი დაავიწყდა, მასაც ცხოვრება მოუწყო... მთელ სოფელს მოგვხედაო, არავის არაფერი გვაკლიაო... წლების შემდეგ ლეგენდები დადიოდა, ბიძინამ სამება ააშენა, ბიძინამ ოპერა გაარემონტა, ასზე მეტი ეკლესია დანგრევას გადაარჩინა, ვიღაცის სიცოცხლე იხსნა... მოკლედ, ერთი უჩინარი კაცი ქველმოქმედებაში დიდ თანხებს ხარჯავდა, ისიც კი არ ვიცოდით, მართლა არსებობდა თუ არა. მიჯდა თავისთვის ჩრდილში და ქვეყანას გვერდში ედგა. მერე, ყველამ იცით, რაც მოხდა“.

რაც მოხდა... ბიძინა ივანიშვილმა განაგრძო ქველმოქმედება – ააშენა დენდროლოგიური პარკი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, დაიწყო აბასთუმნის აღორძინება, დაიწყო წყალტუბოს აღმშენებლობა... ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით, ძალიან შორს წავალთ.

რაც მთავარია! ბიძინა ივანიშვილმა, საქართველოს მოაშორა ფაშიზმი, მოაშორა სისხლის მსმელები, უჯიშოები, უგუნურები, ბრიყვები, მოძალადეები, ჩათლახები და მაიმუნები!

ბიძინა ივანიშვილმა ამ ქვეყანას შემოაცალა შიშის სინდრომი და დაამკვიდრა გასაოცარი დემოკრატია, რომელიც ზოგჯერ არც კი მოგვწონს, რადგან ავის მოსურნეები სათავიანთოდ იყენებენ. ჩვენ აღარ გვეშინია, რომ ამ საღამოს ვინმე ნარკოტიკებს ჩავვიდებ, გლდანის საყვობილეში წავვათრევს და გვაწამებს. ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაზე ჩვენ ბევრი გვითქვამს და დაგვიწერია, მომავალშიც უთუოდ ბევრს ვიტყვით და დავწერთ, მაგრამ ამ ეტაპზე, ამ წუთას უნდა დავფიქრდეთ, გავაანალიზოთ, რა მოხდა, რამდენად უკეთესია თვით ივანიშვილისთვის და ქვეყნისთვის მოვლენების ასე განვითარება? თვითონ კი წავიდა (ადრეც წავიდა), მაგრამ ჩვენ

ვუშვებთ? დარწმუნებულნი ვართ, რომ უახლოეს მომავალში მისი დაბრუნება აღარ გახდება საჭირო? ათასნაირი ვერსია არსებობს, მრავალნაირი მოსაზრება გამოითქვა... ლაპარაკობენ შინაურობაში, გარეულობაში, სამეგობროში და ზოგი ვერსია ისეთია, თუ მართლაც ასე მოხდა, მშვენიერი იქნება, ზოგი ვერსია არც ითქმის, რათა მტერმა არ გაიგოს. ერთი რამ ცხადია (ამაზე ბატონმა ბიძინამც მიანიშნა), დღეს საქართველოში არ გვყავს ოპოზიცია, რაც არის, ეს გახლავთ გაცვეთილი, დაობებული, გონებრივად ჩაჭაობებული მასა. აქედან გამომდინარე, საქართველოში არ არსებობს ჯანსაღი პოლიტიკური ველი.

ალბათ მკითხავთ, ადრეც ხომ ეს ადამიანები იყვნენ ოპოზიციაში და საერთოდ – პოლიტიკაში, ახლა რატომ უწოდებ გაცვეთილ და ჩაჭაობებულ მასასო? თქვენ მართლაც ბრძანდებით, ამ შეკითხვას აქვს არსებობის უფლება.

ჩემი პასუხი კი არის ასეთი: საქართველოში არასოდეს ყოფილა ჯანსაღი პოლიტიკა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ე.წ. დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ამ სფეროში დამკვიდრდნენ ავანტიურისტები, აგენტები, მოღალატეები, უვიცეები, უწიგნურები და მუქთახორები!

ალბათ იმასაც მკითხავთ, ნუთუ წესიერი არავინ იყო და არის ამ ოხერ პოლიტიკაშიო?

როგორ არა, წესიერები იყვნენ და არიან, მე ვლაპარაკობ იმ ბინძურ მასაზე, რომელმაც დაამხო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, შემდეგ ამ მასამ კულამდე გაატყავა ჩვენი ქვეყანა, თავისსავე წიაღში გამოზარდა ავანტიურისტთა საკმაოდ დიდი ჯგუფი, გაითამაშა ე.წ. ვარდების რევოლუცია და შემდეგ რაც მოხდა, ქე იცით, ჩემო ბატონებო და ქალბატონებო. სანამ ბაღლი ვიყავი, მეგონა, ეს ბინძური მასა ნელ-ნელა გაიწოვებოდა, მთხლე დაილექებოდა და საზოგადოება (პოლიტიკური წრე) მთლად თავანკარა თუ არ გახდებოდა, ძალიან ბინძური მაინც არ იქნებოდა, მაგრამ შევეციდი, ბაღლობიდანაც გამოვედი, სიტუატიდანაც, ნახევარ საუკუნესაც გადავციდი და აჰა, ისევ იმ ნაგავს ვუყურებ, ისევ ის წუმპე ცდილობს, თავისი ე.წ. სტანდარტები შეინარჩუნოს და ყოველ არჩევნებამდე, ყოველი არჩევნების შემდეგ კარს მომდგარი რევოლუციით დამამინოს. არა, მე არ მეშინია, რევოლუცია აღარ იქნება, მაგრამ საზოგადოების ნაწილებს ხომ ამინებენ?

აი, კიდევ ერთი მაგარი რამ, რასაც ბიძინა ივანიშვილმა მიადწია – ე.წ. რევოლუციონერებს საერთოდ მოუსპო ქვეყნის არევის საშუალება და დაუტოვა მხოლოდ სურვილი. სწორედ ამიტომაც გაცოფდნენ, ყველანაირად დამახინჯდნენ, მხოლოდ სურვილის ამარად დარჩენილებმა ვედარ მოზომეს, ვედარ გათვალეს, რომ დროება შეიცვალა და ქაქში აღმოჩნდნენ. განა ადრე არ იყვნენ ქაქში? იყვნენ, მაგრამ თავიანთ ე.წ. პოლიტიკურ ყოფას რალაცნაირად მაინც ფუთავდნენ, ხანდახან იფიქრებდით, ესენი შეიძლება მართლა პროდასავლურები არიან, უბრალოდ ზედმეტი მოუვიდათ, ვერ მოზომესო. ჰმ, რას ლაპარაკობთ, როგორ გეკადრებათ, რა პროდასავლურები, რომელი პროამერიკელები? არავითარი დასავლურობა, არავითარი ამერიკულობა, მხოლოდ

„პრო“-ები არიან.

აბა, ახლა მიპასუხეთ, ესენი რომ მხოლოდ „პრო“-ები არიან, ვინ დაგვანახა, ვინ გამოააშკარავა? ჩვენ ვიცოდით ამათი წარმომავლობის შესახებ, ძალიან ბევრი ვიცოდით, 30 წლის განმავლობაში ვერაფერი გამოგვაპარეს, მაგრამ ამასობაში ახალი თაობა მოვიდა, საზოგადოება ნაწილობრივ გადახალისდა და აღმოჩნდა, რომ ზოგმა არ იცის, ან დაავიწყდა, ან დაივიწყა.

იმ ბიჭმა, ხუთი წლისა ბატებს რომ მწვემსავდა, ექსკურსიაზე წასასვლელი ფული რომ არ ჰქონდა და და ნაყინსაც ვერ ყიდულობდა, 2012 წლის ზაფხულში სახალხო ლაშქარი შეჰყარა და ყველანაირად გაათახსირებულ ხელისუფლებას გზა გადაუკეტა.

აი, იმ სახალხო ლაშქარში აღმოჩნდა ბევრი უღირსი!

ბევრმა უღირსმა შეაფარა თავი „ქართულ ოცნებას“, ბევრმა უღირსმა შეყო თავი პარლამენტში, ბევრმა უღირსმა ისარგებლა ბიძინა ივანიშვილის კეთილგანწყობით.

გინდათ, მაგალითებიც დაგისახელოთ? ამას დიდი სიამოვნებით გააკეთებ... ჩემი აზრით, უღირსთა შორის ერთ-ერთი საპატროსო ადგილი იკავებს „ექსპერტი“ გია ხუხაშვილი. უბრალოდ სასაცილოა, ეს ადამიანი ბიძინა ივანიშვილს აკრიტიკებს და ლანძღავს ბიძინა ივანიშვილის ნაყიდი სახლიდან. ამას წინებზე ბატონმა ექსპერტმა აღიარა, რომ არა ივანიშვილი, ჩემი ცოლი ცოცხალი არ იქნებოდაო. ახლა აკი... როცა ბატონი ბიძინა პოლიტიკიდან წავიდა, ჰყოფნის თავხედობა და აცხადებს, პოლიტიკაში ვბრუნდებიო, ირაკლი კობახიძის ხელში ქვეყანა დაიღუპებაო, ეს არის ბავშვი ასანთით ხელში, კონსტიტუციური წყობილება უნდა გადავარჩინო. მეო, ივანიშვილს პირობა მივეცი, სანამ პოლიტიკაში ხარ, მე არ შემოვალ, ახლა კი როცა წავიდა, ვალდებულება აღარ მაქვსო. არა, პირობა მას არ ჩამოურთმევია, უბრალოდ მე ვუთხარი ასეო. გესმით? ტიპი თვითონ ჭრის და კერავს, ადრე ასე ვუთხარი, ამ კაცმა ქვეყანა საშემ მდგომარეობაში ჩააგდო, მე უნდა გადავარჩინო. ვზივარ და ვფიქრობ, ხუხაშვილი პოლიტიკაში როდისმე იყო? როგორც მახსოვს, ივანიშვილის კარზე „ექსპერტობდა“, მერე რაღაც ბიზნესების გადანაწილებაში გაერია, რაღაცებში ცხვრიო ჩაყო, რაღაცები მონიღომა და ეგრევე დაახვევინეს.


ხუხაშვილის სიტყვები უმაღურობის ისტორიაშია შესატანი. იცით, პოლიტიკიდან მისი წასვლის შემდეგ რა თქვა?

ნახეთ: „ბიძინა ივანიშვილი რჩება კანონიერ ქურდად“.

გესმით? ბიძინა ივანიშვილი ყოფილა კანონიერი ქურდი და კვლავ რჩება კანონიერ ქურდად. ამან, ამ გათახსირებულმა ხუხაშვილმა უარი არ თქვა "კანონიერი ქურდის" საჩუქარზე, ცოლის გა-



დაახ, ყველამ ვიცით, შემდეგ



დარჩენაზე და ახლა ამტკიცებს, რომ არის პატიოსანი, პატრონი და ქვეყნის გადამრჩენი.

პა, პა, პა! ესენი ვინ არიან, საიდან მოვიდნენ, რა ჯიშად, რა წარმონაწმინდებად იწოდებიან? აგერ, გედონ ფოფხაძე, რომელიც პარლამენტში შეიყვანეს, კაცად აქციეს, ბეწვი დაუბწვინეს, იბახის, „ოცნების“ ამომრჩეველმა ხმა ივანიშვილს მისცა და მისი წასვლის შემდეგ პარლამენტი ლეგიტიმური აღარ არისო. ეს იყო, კაცო, პარლამენტი? რატომ იყო ასეთი სირთაოზი პარლამენტში, ვინ გაუწია რეკომენდაცია, რა უფლებით, რა დამსახურების მიხედვით? ადამიანი, რომელიც ასე აზროვნებს, არის არაფერი... ა-რა-ფე-რი!!!

ძალიან შორს „გაფრინდა“ ეკა ბესელიაც, რომელიც ფრიად ნაწყენი განერიდა ბიძინა ივანიშვილს ორგზის პარლამენტარობის შემდეგ. ლამის ყოველდღე გამოდის მიხოს საკანალიზაციო არხებზე და ისეთ რაღაცებს ყვება, მოკვდებით სიცილით... მეო, მე ვიყავი, რაც ვიყავი, ბიძინა ივანიშვილი ჭკუას მხოლოდ მე მეკითხებოდაო. ვიღაც დავით ჭიჭინაძე მიუჯდება ხოლმე გვერდით ეკუნასა და იჭაჭება უაზროდ. ესეც პარლამენტში ჰყავდა „ოცნებას“, მერე მიხედნენ, რა ბაიყუშიც იყო და „დააპაშოლეს“. გუბაზ სანიკიძეზე, ამ არარაობაზე რა ვთქვა? გვემას სახავს, სამიოდ კვირაში ბიძინას სანქციებს დაადებენ, „ოცნება“ კიდევ ხელახალ არჩევენებს ჩაატარებსო. ბაიდენის იმედი აქვს ამ უდღეურს... თურმე მოვა და ქვას ქვაზე არ დაგვიტოვებს. გუბაზი არის საკუთარი მამის 310-ე სირცხვილი. ალბათ იცით, ლევან სანიკიძემ თავის დროზე წიგნი დაწერა – „ქართველთა 309 სირცხვილი“.

იცით, ვადაგასული ბურჯანაძეები, სააკაშვილები, ბოკერიები, უგულავები და მათნაირები რომ ანთხევენ ბოლმას, ეს გასაგებია, ძალაუფლება დაკარგეს და დაბრუნებას ლამობენ, მაგრამ იმ ხალხისა არ მესმის, კაი

გვარიანად რომ იხიერეს ივანიშვილის სახელით და მერე იქით მიუბრუნდნენ, უნდა დაგამხოთ... თან იმასთან წავიდნენ, სააკაშვილთან, ვისაც ვითომ ადრე ებრძოდნენ, თურმე არ ებრძოდნენ, თამაშობდნენ... დიას, ვერე გამოდის. ასეთები გაცილებით საშიში არიან, ვიდრე გამოშტერებული "ნაციონალები" და მათთან გათანაბრებული პირები!

ისე, არ შეიძლება, აქ არ მოვიტანო ნინო ბურჯანაძის „გენიოსური“ ნათქვამი: „ნორმალური ფსიქიკის გგონიათ ადამიანი, რომელსაც, თუ რამე არ უჭირს, 15 წელი ოჯახს ჭორვილაში აცხოვრებს“?!

ეს ქალი ადრე თითქოს სოლიდურობას ინარჩუნებდა, ზოგიერთს ცოტადენ ჭკვიანიც ეგონა, მაგრამ სინამდვილეში ზუსტად ის ყოფილა, რაც ერთმა მაგარმა კაცმა მითხრა 2012 წელს – ეგ ქალი უბრალოდ შტერიაო. მაშინ 26 მაისის დარბევის გავლენის ქვეშ ვიყავი და იქით შევეკამათე, მთლად ვერეც არ არი-მეთქი. მაგარმა კაცმა ჩაიციინა, დამიჯერე, ვერეა, მასთან ლაპარაკიც არ შეიძლებაო. მართალი ყოფილა. მას შემდეგ, რაც ბურჯანაძემ ასეთი სისულელე წამოაწვინა, ანუ ჭორვილაში ცხოვრება საბარცხვინოდ და ფსიქიკურ გადახრად ჩათვალა, ლამის მთელმა საქართველომ აგინა. ამაზე წარბიც არ შეუხრია, დაჯდა თავისზე უარეს ინგა გრიგოლიასთან და უარესი ქლივრობა ილაპარაკა... ისაო, ბიძინა ივანიშვილს ვალები ჰქონდა და 15 წელი ჭორვილაში იმალებოდაო, ცოლ-შვილიც იქ გადაძალაო.

კარგად გაიგონეთ?! ბიძინა ივანიშვილს, რომელიც 1990-იანი წლებიდან მოყოლებული მილიონებს ხარჯავს და ბოლოს მილიარდებზეც ავიდა, მოვალეებს ჭორვილაში ემალებოდა... თურმე გარეთ ვერ გამოდიოდა, ეშინოდა.

მადლობა, ბატონო ბიძინა, თქვენ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი რომ დაარქვით! ნაცებმა, შმაცებმა, გნაცებმა და მათთან გათანაბრებულმა პი-

რებმა ვერ გაიგეს, ბიძინა ივანიშვილი მართლა წავიდა თუ არა. ვერ გაერკვენ, საიდან სად უნდა წასულიყო.

კიევიდან შთააგონეს, გაიქცაო... უფრო სწორად, აპირებსო, ქონება „ქართუს“ გადაუფორმა, მართო ასაფრენი ბილიკი დაიტოვაო. ესენიც, ეს ავადმყოფებიც თუთიყუშებით იმეორებენ, გაპარვას აპირებსო, ასაფრენი ბილიკი ამიტომაც დაიტოვაო.

მიხას ჭურნალისტები გონზე აღარ არიან, არც ადრე იყვნენ, მაგრამ ეხლა ნამეტნავად დაგახეს... სიუჟეტს სიუჟეტზე აცხოვრებენ ნოდარას სტილში – უკმეხი გამომეტყველება, ნაჯახისებრი მეტყველება, ფეხები მხრების სიგანეზე, ხელების მოძრაობა და პარჭევა დანჯღრეული „კუკურუნისკის“ ფრთების მსგავსად, მძიმე მუსიკა რომელიმე უცხოური ფილმიდან... რაც მთავარია, ასო-ბგერა „რ“-ს ამოგდება მეტყველებიდან და „ლ“-თი ჩანაცვლება.

შაბათს ნოდარაც გაიჩითება ტელევიზორში, შებინდებისას ავა თავის ქაჯებთან ერთად სოლოლაკში, ბიძინა ივანიშვილის სახლის (ბიზნესცენტრის) მისადგომებთან და იმდენ სისულელეს იტყვის „რ“-ს გარეშე, მთელი ქვეყანა იხარხარებს.

ნოდარას გადაცემის სცენარი დაიწერება კიევში და იქნება ასეთი: კადრში წკვარამი ღამეა. ნელ-ნელა იკვებება ასაფრენი ბილიკი, ირთება ერთი პროფექტორი. მძიმე მუსიკის ფონზე ისმის „ვერტალიოტის“ შორეული ხმა, რომელიც ახლოვდება. „ვერტალიოტს“ ასაფრენი ბილიკი არ სჭირდება, მაგრამ სცენარის ავტორს ასე სურს, სიუჟეტი უფრო დამაჯერებელი იქნებაო. სოლოლაკში „ვერტალიოტი“ ჯდება (კადრი ამოღებულია ამერიკული „ბოვეიკიდან“), გადმოხტება რემბოს მსგავსი ტიპი, მიიხედ-მოიხედავს, დაუსტვენს, ბუჩქებიდან გამოდის ბიძინა ივანიშვილი, სახე პირბადით აქვს დაფარული, ხელში ჩემოდანი უჭირავს, საღაც მილიარდები დევს. რო-

გორც ნოდარას სანდო წყარომ აცნობა, ჩემოდანში დაახლოებით ორ მილიარდ „შემტაა“. ნოდარას წყარო არ ცდება, ის ფეხებში მუშაობს. სინამდვილეში წყარო ელოია კილაძეა, მაგრამ იყოს ფეხსებს მაღალჩინოსანი, რა უჭირს? კიევიდან შეტყობინება მოვიდა, ამბავი ვერე უფრო დამაჯერებელი იქნებაო. ბიძინა „ვერტალიოტში“ ადის, ასვლაში რემბოსავით ტიპი ეხმარება, ის მიფრინავს. საით? სანდო წყაროს ცნობით, ჭორვილაში გაივლის, ოჯახს დაემშვიდობება და ამ ეტაპზე საფრანგეთის რომელიმე აეროდრომზე დაჯდება.

შემდეგ გადაცემაში გამოვლენ ოპოზიციის წარმომადგენლები და შეაფასებენ მის წასვლას: ცეტი შალო იტყვის, ევა, კაცო, ჩვენ უბანში ადრე, ბავშვობაში ნარკოტიკებსა ჰყიდდა, მილიარდები ვერე დააგროვო. ბურჯანაძის თქმული იკვლევს, ეგ კაცი ნორმალური არ არი, თავის ოჯახს 15 წელიწადია ჭორვილაში აცხოვრებს, ამ დროს „გოროდში“ ამხელა სასახლე აქვსო. დიადი ხუზა იტყვის... პო, ნუ, რავი, კი ამოიწყო ცხოვრება ბიძინამ კრემლის სათივით, მაგრამ ეგ რა შუამიაო? პოდა, მართლაც, ეგ რა შუამია? თავო ჩარკვიანი ჩაიციინებს, ადრე რა იყო, არც მახსოვს, არც მაინტერესებს, ოლიგარქები უნდა წავიდნენო. აპა, ხომ წავიდა კიდევაც? თუმცა ქართული ჟურნალისტიკის მეტრის, აქუ აქუბარდიას კნეინა ჯანგო წამოიძახებს, რას ამბობ, თავო, ვერე წასვლა სად გაგონილა, ითმევე, ჯოოო, ეპეუუუუ! ვინმე დავით ჭიჭინაძე ამოიყვინებს, ჩვენ ამოვიყვანთ საქართველოს ჭაობიდანო. ეს ტიპი ცოცხალი თავით არ ამბობს, „ჩვენ“-ში ვის გულისხმობს. ნიკოლოზ მაჭუტაძე დაასკვნის, რომ ბიძინა ივანიშვილის წასვლა შთამბეჭდავია, მაგრამ რეზონი აკლია.

სხვებიც გამოვლენ ნოდარას გადაცემაში... ვინმე ჩიხლაძე, ვინმე ბუაძე, ვინმე სიკინტილაშვილი, ვინმე ქიბროწაშვილი, ვინმე ჩემისაშვილი, ვინმე ტრაწაური,

ვინმე ჩურჩუტაძე და... იცით, რას ვფიქრობ? სწორად მოიქცა ბატონი ბიძინა, რომ ამ ე.წ. პოლიტიკას გაეცალა, მას უფრო დიდი საქმეები აქვს საკეთებელი.

აბა, რა უნდა ქნას? იჯდეს და ისმინოს, რას იტყვიან ზემოთ ჩამოთვლილი ე.წ. ოპოზიციონრები? რა აზრი აქვს, ისინი ხომ უკვე ნაგავსაყრელის ბინადრები არიან? ან ჩვენ რატომ უნდა ვუყუროთ და ვუსმინოთ? ხალხო, ჩვენც უნდა წავიდეთ იმ პოლიტიკიდან, ძალიან რომ აყროლდა და ყოველდღიურად ტელევიზორებიდან ცხვირში გეტყვიან!

წავიდეთ რა... უბრალოდ უარი ვუთხრათ ამ დამძალი თესლიდან აღმოცენებულებს, 30 წელიწადია საქართველოს რომ არ აძლევენ მოსვენებას და მორჩა, ეგ იქნება წასვლა!

აი, ეს გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა... გასაგებად გვითხრა, ყველამ ჩვენს საქმე ვაკეთოთ, ეს ქვეყანა მხოლოდ ჩემი არ გახლავთო.

მადლობა, ბატონო ბიძინა, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი რომ დაარქვით!

მადლობა, საქართველოში ფაშისმის დამარცხებისთვის!

უამრავი სიკეთისთვის... ყველამ ყველაფერი იცის, ჩამოთვლაც აღარ არის საჭირო!

სამწუხაროდ, მტრები იქნებიან, მოლაღატებებიც და გამყიდველებიც, მაგრამ უნდა გაუუძლიოთ, სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს.

მადლობა თქვენს ოჯახს, გაიხარეთ და გამრავლდით!

P.S. მე პირადად სულაც არ მაქვს შეგრძნება, რომ ბიძინა ივანიშვილი სადმე წავიდა. ეს არ გახლავთ უბრალოდ ჩემი განწყობა, როგორც ამერიკელი მწერალი ნაპოლეონ ჰილი ამბობდა, გამარჯვებულები არასოდეს წვეტენ ბრძოლას. ივანიშვილი კი ნამდვილად არის გამარჯვებული.

გილა ზამთარაშვილი 555 48 48 61



# როცა უანი ქვეყნის უვილს, უანივე საგუბლოს სასახურისთვის, საფრანგეთი აჯილდოებს, უან რა გწყინს, შე უჯიშოვ?! ფრანგული ჯილდო ქართულად

2020 წლის 31 დეკემბერს საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს საპატიო ლეგიონის კავალერის ტიტული მიანიჭა.

საფრანგეთის მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განკარგულებაში აღნიშნულია, რომ ივანიშვილი 40 წელია საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა და ახლაც, პანდემიასთან ბრძოლისას დიდად გაისარჯა – კორონავირუსთან ბრძოლის ფინანსები 100 მილიონი ლარი გადარიცხა. ეს გახლავთ ოფიციალური ინფორმაცია, რაც დიდად გასახარი და სამაგო უნდა ყოფილიყო ყოველი ქართველისთვის. თუმცა!

საქართველო რაის საქართველო იქნებოდა, ყველას რომ გა(3)ხარებოდა?!

ქართული საზოგადოების ერთ (მომადიდებლურ სამყაროში) ნაწილში ეგრევე გაჩნდა აზრი, რომ თუკი საფრანგეთის პრეზიდენტმა რუს ოლიგარქს საპატიო ლეგიონერის ტიტული მიანიჭა, თვით საფრანგეთის პრეზიდენტიც პირწავარდნილი რუსია. შეიძლება ადამიანი იყოს ფრანგი, გვარად მაკრონი, სახელიად ემანუელი, მაგრამ სული პიონდეს რუსული.

გესმით?! მიშადიდებლური გაგებით, შესაძლებელია, ემანუელ უან-მიშელ ფრედერიკ მაკრონი იყოს რუსი... მეტიც, იყოს ვლადიმერ პუტინის მონა, ხელის ბიჭი, ყმა და ამავე დროს შესაძლებელია, რუსეთში დაეაჯიყცებულ-ნაცხოვრებ-ნამუშევარი გრიგოლ ვაშაძე იყოს პროდასავლელი, პროამერიკელი, პუტინის წინააღმდეგ მებრძოლი, რუსეთის მტერი. დაიხ, აქ, დედამიწის ამ მონაკვეთზე შესაძლებელია, ადამიანები ემსახურებოდნენ რუსებს, აკეთებდნენ რუსულ საქმეს, სინამდვილეში იყვნენ პუტინის მონები და ამავე დროს ყოველდღიურად შთაგვაგონებდნენ, რომ ისინი არიან რუსეთის მტრები. მაგალითად, მისას ძია, თემურ ალასანია, რომელიც მთელი ცხოვრება იყო "კაკეუშნიკი" (ამ დროს ვიცით, რომ ყოფილი "კაკეუშნიკი" არ არსებობს), ახლა მიედ-მოედება, პროდასავლელი გახლავართო. არ არსებობს, ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება... თუმცა ამით შესწევთ უნარი, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, რამენიარად, როგორღაც

მაინც გადაუღვსონ ტუბინის ნაოჭები. კიდევ ერთი შთამბეჭდავი მაგალითი: თუ გრიგოლ ვაშაძის კნენა, ნინო ანანიშვილი დაინიშნება ნოვოსიბირსკის საბალეტო დასის ხელმძღვანელად და პერიოდულად უცვლელად ვლადიმერ ვლადიმოროვის, არაუმავს, ის მაინც პროდასავლელ მოვლენად დარჩება, ხოლო საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილი სალომე ზურაბიშვილი არის მოღალატე, გამყიდველი, პირწავარდნილი რუსეთში.

სიმართლე გითხრათ, მე ასეთ გამოხატობებს ველოდი, როგორ არ ველოდი, მაგრამ ზოგიერთი ასე თუ დაეცემოდა, მაინც ვერ წარმოვიდგენდი. ალბათ თქვენც გქონიათ მომენტი, როცა გგონიათ, აწი აღარაფერი გაგვიკვირდებაო, მაგრამ უცებ ისეთი რაღაცა ხდება, ან ისეთ რაღაცას იტყვიან, ერთი-ორი კვირა პირი დია გრჩებათ და თვალები კიდევ შუბლზე გაქვთ ასული.

მოკლედ, გამოეთრა დაჯილდოებიდან მეორე დღესვე (ხომ არ გააცივებდა?) მიხს სააკაშვილი და მტკიცებითი ფორმით თქვა: მაგანო, ბიძინა ივანიშვილი, ჯერ საფრანგეთის მოქალაქეობა იყიდაო, ესხა კიდევ ორდენი იყიდაო, ეგეთია, სულ რაღაცებს ვიდულობსო. ესე იგი, როგორც მიხს ამტკიცებს, ბიძინა ივანიშვილმა საფრანგეთის პრეზიდენტისგან საპატიო ლეგიონერის ორდენი იყიდა. საინტერესოა, რამდენი გადაიხდა? არ ვიცით, ბატონი მიხს ამასვე ღუმს. ჩვენ კი მხოლოდ ის ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილმა 100 მილიონი გადარიცხა კოვიდის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდში... არ გამოვრცხვით, მიხს ამ ფულს გულისხმობდეს. თუმცა გიგა ბოკერიას კნენას, თამარა ჩერგოლეიშვილს თუ ვკითხავთ, ეს ჯილდო არც ისეთი ფასეული და საამაყო, მილიონები რომ ღირდეს. თურმე სხვადასხვა დროს ეს ტიტული მიღებული აქვთ ვლადიმერ პუტინს, ილჰამ ალიევის მუშულეს – აზერბაიჯანის პირველ ლედიას და ვიცეპრეზიდენტ მეჰრიბან ალიევისას, პონგ-კონგის პროდემოკრატიული აქციების ჩანშობაში დადანიშნულ მმართველს, კერი ლამს, ნობელიატ აუნ სან სუ ჩის, რომელსაც მიანმარში როჰინჯა მუსლიმების წინააღმდეგ გენოციდის დროს არასაკმარის მოქმედებაში ადანაშაულებენ. ორდენით დაჯილდოვდა, თუმცა მოგვიანებით

ჩამოერთვა, რუმინეთის დიქტატორი ნიკოლაე ჩაუშესკუ. ორდენი ჩამოართვეს პოლიეუდის ცნობილ პროდუსერს, ჰარვი ვაინშტაინსაც სექსუალური შევიწროების და ძალადობის ბრალდებების შემდეგ. ვაინშტაინის გარდა, კულტურის სფეროში მოღვაწე დაჯილდოებულ პირებს შორის არის ფრანგი მსახიობი, ამჟამად რუსეთის მოქალაქე ყვერარ დეპარდიე, რუსი რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი და სერბი რეჟისორი ემირ კუსტურიცა.

თამარას ვეგლა ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნება „კომპრომატი“ ჰგონია... აი, თვით გიგა ბოკერია კი დიდი მამულიშვილი. დავეუშვათ, იგივე ჯილდო მიღებული აქვს ვლადიმერ პუტინს, რა არის ამაში გასაკვირი? დღეს რუსები და ფრანგები მეგობრობენ, მაკრონიც თავისი ქვეყნისთვის სასარგებლო პოლიტიკას ანხორციელებს... პუტინი ჩვენი მტერია, მაგრამ თავისი ქვეყნისთვის და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოსთვისაც კაი ბიჭია. ვერაფერს იზამ, ასეთია გლობალური პოლიტიკა, ვეგლა საკუთარი ინტერესებით მოქმედებს... ერთადერთი საქართველოა, სადაც შეიძლება ომი წაგონ რუსეთთან, მაგრამ ეს წაგება მონათლონ გამარჯვებად. ესე იგი, ერთადერთი საქართველოა, სადაც შეიძლება სხვა ქვეყნის სასარგებლოდ იმოქმედონ, მაგრამ მოსახლეობას გამოგვიცხადონ, რომ ეს იყო ჩვენთვის კარგი. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შეკითხვას ასე დავსვამ: როგორ ფიქრობთ, ილჰამ ალიევის ცოლობა სჯობს თუ გიგა ბოკერიას ცოლობა? თამარა ისე მიუთითებს, ეგ ჯილდო ალიევის ცოლმაც მიიღო, გეგონება იმის ცოლობა ბოკერიას ცოლობაზე უკეთესია, საპატიო და დიდად საამაყო. შეიძლება ვინმე შემომედავოს, ბოკერიას არც აქვს ეგ ორდენი მიღებული, ქალბატონ მეჰრიბანს კიდევ რაში ეკუთვნოდაო? ალბათ ეკუთვნოდა, თორემ არ მისცემდნენ... მე პირადად მეჰრიბანობა მიჩვენია ჩერგოლბას და ბოკერიობას. მეტიც, ვეგლა ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნება სჯობს (სჯობდა, ზოგი მოკვდა) გიგა ბოკერიას, თვით ჩაუშესკუს. ისე, ჯერ ისიც საკითხავია, რატომ ჩაიდნეს რუმინელებმა დიდი ცოდეა 1989 წლის 25 დეკემბერს, შობა დღეს, რატომ დახვრიტეს თავიანთი პირველი პრეზიდენტი? მე არ ვამბობ, რომ ნიკოლაე ჩაუშესკუ ანგელოზი გახლდათ, მაგრამ

არც სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელებზე უარესი იყო. სხვათა შორის, ავი ენები ამბობენ, ჩაუშესკუ კრემლის ბინადრებმა გაწირესო და ეს არც არის უსაფუძვლო. გარდა ამისა, ბუნებაში ხდება ხოლმე... იცით, რა ხდება ხოლმე? ადამიანი, რომელიც ვეგლაზე ძალიან გიყვართ, შეიძლება ცხოვრებაში არ გამოგადგეთ... ან შვილი არ გამოგადგეთ... ან ცოლი არ გამოგადგეთ... ან ქმარი არ გამოგადგეთ... ან მაცივარი არ გამოგადგეთ... ან ტელევიზორი არ გამოგადგეთ და საფრანგეთის პრეზიდენტებმა თუ „ვინმეები“ დააჯილდოვეს და არ გამოდგენენ, ეგეც ხომ ჩვეულებრივი ამბავია? თუ ვინმემ არ გაამართლა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორდენი ნაგავშია გადასაგდება, როგორც გიგა ბოკერიას კნენა მიანიშნებს.

საპატიო ლეგიონის ორდენი დაწესებულია ნაპოლეონ ბონაპარტეს, საფრანგეთის რესპუბლიკის პირველი კონსულის მიერ 1802 წლის 19 მაისს. ეს არის საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო და მას ანიჭებს საფრანგეთის პრეზიდენტი უდიდესი სამხედრო და სამოქალაქო მიღწევებისთვის. ორდენის დევიზია „ღირსება და სამშობლო“. ვინ არიან ქართველთაგან ამ საპატიო ჯილდოს მფლობელები ბიძინა ივანიშვილის გარდა?

ვახტანგ სენიაშვილი (1922–2014) საფრანგეთის ეროვნული გმირი, თელავიდან. 1942 წელს უკრაინის ფრონტზე ტყვედ ჩავარდნის შემდეგ მოხვდა სამხრეთ საფრანგეთში, სადაც საბჭოთა ტყვეებს მადარობებში ამუშავებდნენ. მან მოახერხა გაქცევა და წინააღმდეგობის მოძრაობასთან დაკავშირება, შემდეგ კი შეუერთდა ემიგრანტთა პარტიზანულ მოძრაობას. 1944 წლის 18 აგვისტოს მონაწილეობა მიიღო ქალაქ კარმოს გათავისუფლებისთვის ბრძოლაში, სადაც ხალხმა ხელში აიტაცა და საპატიო მოქალაქეც გახდა, მიენიჭა საფრანგეთის არმიის კაპიტნის წოდება, მაგრამ არ გააგრძელა სამხედრო კარიერა და საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. საქართველოში ჯერ გმირად შერაცხეს, 1947 წლის პოლიტიკური წმენდის დროს კი "იმპერიალიზმის აგენტად" გამოაცხადეს 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. პატიმრობას თავი 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ დააღწია.

ციხიდან გამოსულმა ვახტანგ სენიაშვილმა აკადემიკოს ვიქტორ



კუპრავას დახმარებით შეძლო უნივერსიტეტში აღდგენა. მოგვიანებით ფრანგულ „ლე მონდში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ მთელი ფრანგული საზოგადოება აალაპარაკა და „კომენდანტი ვანია“, იგივე ვახტანგ სენიაშვილი საფრანგეთის მთავრობამ (2005 წელს) საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა და ერთბაშად ოთხი ფრანგული ქალაქის საპატიო მოქალაქეც გახდა. ის დაკრძალულია თელავში.

დამიტრი ამილახვარი – დაიბადა 1906 წელს. საფრანგეთის უცხოური ლეგიონის პოლკოვნიკი. მისი მამა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწე, გიორგი ამილახვარი ოჯახით ემიგრაციაში წავიდა 1921 წელს. 1926 წელს დამიტრი ამილახვარმა დაამთავრა სან-სირის სამხედრო სასწავლებელი. იმავე წელს დაიწყო მისი სამხედრო კარიერა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში. მონაწილეობდა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებში ჩრდილოეთ აფრიკაში.

გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციისთანავე ის ლონდონში ჩავიდა და შეუერთდა გენერალ შარლ დე გოლის "თავისუფალი საფრანგეთის" არმიას. მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში ერიტრეასა და სირიაში. 1942 წელს ბირ-ჰაკიმის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის დაჯილდოვდა „გათავისუფლების ჯვრით“. დაიღუპა 1942 წლის 24 სექტემბერს, ელ-ალაშინის ბრძოლის დროს. დიდი პატივით დაკრძალეს ლიბის უდაბნოში. სიკვდილის შემდეგ, საფრანგეთის პრეზიდენტის, გენერალ დე გოლის ბრძანებით დაჯილდოვდა საპატიო ლეგიონის უმაღლესი ორდენით.

გაელა ზემდელაშვილი 555 48 48 61



ბიძინა ივანიშვილი



ვახტანგ სენიაშვილი



დამიტრი ამილახვარი



# „უხნობი“ ბიძინა ივანიშვილი

## ბადემოქრატული ლიპარიტ ბაღვაშის, ყორღანაშვილის, შადიანების ზეობის ხანა დღეს საქართველოში

ამ წერილს ვწერ „უცნობ“ ბიძინა ივანიშვილზე, რომლის დიდი ღვაწლისა და დამსახურების შესახებ ქვეყნის წინაშე ჯერ კიდევ ბოლომდე არ იცის საქართველო.

— რას ამბობთ, როგორ არ ვიცით, ბრძოლები და ყრუები ხომ არ ვართ, რომ ვერ ვხედავდეთ, რასაც ეს ადამიანი აკეთებს ქვეყნისთვის, — შემომეძვარებოდა, ალბათ, ვიღაც-ვიღაცები. ბოლოს და ბოლოს, ამ ადამიანს სამ მილიარდ ნახევარი დოლარი აქვს ქვეყნის სასიკეთოდ დახარჯული და სამ მილიარდ ნახევარზე მეტი ღირებულების რა უნდა იყოს?

რა უნდა იყოს და არის ისეთი რამ, რაც სამ მილიარდ ნახევარი კი არა, სამჯერ სამ მილიარდ ნახევარზე მეტიც ღირს, უფრო ზუსტად, ფასი მისი და ღირებულება არ იანგარიშება, არ აიწონება და არ გაიზომება.

თავისი არსებობის მანძილზე უამრავი მტერი შემოსევია საქართველოს, მაგრამ თანამედროვე მტრებთან შედარებით, მათ წინააღმდეგ ბრძოლა მანაც უფრო ადვილი იყო, რადგან ამ მტერს მტრის სახე და ფორმა ჰქონდა და არც იმას მალაგდა, რომ შენი განადგურება და მოსპობა უნდოდა, მაგრამ როგორ გინდა ეომო მტერს, რომელიც ჯიქურ, ხმლით და თოფით კი არ მოდის, არამედ მოჰონავს, როგორც ბლანტი სითხე, მოჰონავს ყველა ჭკუჭრუტანიდან, ყველა ზერულიდან, ნელ-ნელა გჭამს და გძირავს თავის ბლანტ, მომწამვლელ სითხეში.

რვა წელიწადია ბეწვის ხიდზე გადაჭყავს ბიძინა ივანიშვილს საქართველო და რომ არა მისი გამჭრიახობა, მისი თანდაყოლილი ნიჭიერება და ინტუიცია, ჩვენ ამ ხიდს ვერ გადავივლიდით და ვერც სამშვიდობოს გადავწყვიდით...

ბევრ რამეს ვერ ვამბობ და არა იმიტომ, რომ არ ვიცი, არამედ, იმიტომ რომ, შეიძლება, ამით ქვეყნის საქმეს რაიმე ზიანი მივაყენო...

ბევრ რამეს ვერ ვამბობ ბიძინა ივანიშვილიც და არა იმიტომ, რომ სათქმელი არ აქვს ან რაიმეში მართალი არ არის, არამედ, იმიტომ რომ, „ზოგჯერ თქმითაც დამსჯდებიან“...

არადა, როგორი ძნელია, როცა ცამდე მართალი ხარ, როცა შენი ხალხის და შენი სამშობლოს წინაშე აბსოლუტურად პირნათელი ხარ და ამ დროს იძულებული ხარ პროვოკატორების, გამყიდველების, მოღალატეების, პატრიოტის ნიღბით შენიღბული აგენტურის ბრალდებებს უსმინო და პასუხი არ გასცე.

დაიხ, ვერც ბიძინა ივანიშვილი და ვერც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ბევრ რამეს



ვერ ამბობს, მაგრამ ჩვენ თვითონ ვერაფერს ვერ უნდა ვხედავდეთ და რეალობას სწორად და ობიექტურად ვერ უნდა ვაფასებდეთ? რეალობა კი ის არის, რომ მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოვიდა, ამ რვა წლის განმავლობაში, საქართველომ სამ დიდ ომში გაიმარჯვა — 2016-ში, 2018-ში და სულ ბოლოს 2020 წლის 31 ოქტომბერს.

„ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, არ მითქვამს — საქართველომ გაიმარჯვა-მეთქი, ვთქვი და არაფერი შემშლია — დიახ, საქართველოს გამარჯვება იყო ეს გამარჯვებები და მათ შორის, 31 ოქტომბრის გამარჯვებაც.

ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უნდათ თავი მოვისუღელოთ და დავიჯეროთ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ერთი წლის თავზე „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი და „ძველი ბიჭი“ თენგიზა კიტოვანი იმდენად აღწინააღმდეგო საქართველოს და თავისუფლების იდეებით, რომ გადაწყვიტეს „დიქტატორი“ გამსახურდია დაემხოთ.

ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უნდათ თავი მოვისუღელოთ და დავიჯეროთ, რომ 2003 წელს „ვარდების რევოლუცია“ ისევ და ისევ დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის მებრძოლმა „პატრიოტებმა“ მოახდინეს, რომლებმაც მოგვიანებით სისხლიანი აუტოდაფე მოუწვევეს საქართველოს. ახლაც, ოცდაათწლიანი მწარე გამოცდილების მიუხედავად, ვიღაც-ვიღაცებს მაინც ჰგონიათ, რომ ჩვენი გაბრიყვება და გაბითურება ადვილი საქმეა და ურცხვად და უტიფრად გვარწმუნებენ, რომ კგბ-ს ჯარების ეფრეთორი სააკაშვილი და მისი ბიძა — კგბ-ს ოფიცერი ალასანია ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისთვის იღვწიან.

საკაშვილს, რომელმაც თავი-

სი კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმის დასრულების შემდეგ ოცი პროცენტით დაპატარავებული და შემცირებული საქართველო დაგვიბრუნა უკან, ჰყოფნის თავხედობა და კვლავ ხელისუფლებაში თუ არ დამაბრუნებთ, ბოიკოტს გამოგიცხადებთ, საბოტაჟს მოგიწყობთ, ალყაში მოგაქცევთ, ხალხს აგიბუნებთ, გვემუქრება.

ოპოზიცია კი არა ნამდვილი მტერია ეს გადაგვარებული კაცი, რომელიც აშკარაა, ვის დაკვეთასაც ასრულებს და ვისი ზურგიც გვაშანტაჟებს. ასევე მტერია ისიც, ვინც მის დირექტივებს ემორჩილება, მაგრამ ისევ ისმის ჩვენი საერთაშორისო მეგობრების ბაგებიდან მშვენიერი სიტყვა დემოკრატია, რასაც რჩევა თუ თხოვნა მოსდევს:

— არჩევნებიდან არ მოხსნათ — არადემოკრატიულია!

— მონებს გეძახიან? — არ დაუშალოთ — არადემოკრატიულია!

— მათი ტელევიზიებიდან დღედაღამ გლანძღვენ, ცილს გწამებენ? — არ აუკრძალოთ — არადემოკრატიულია!

აი, ასე, დემოკრატიის ბორკილდადებულები, დემოკრატით ხელფენშეკრულნი, დემოკრატით განიარაღებულნი, იძულებულნი ვართ, მტერს ოპოზიცია დაუშახოთ და ის წესები დავიცვათ, რაც ოპოზიციასთან ურთიერთობის საერთაშორისო სტანდარტებით არის დადგენილი.

კიდევ კარგი, ეს დალოცვილი დემოკრატია მხოლოდ მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან წამოგვეწია, თორემ ადრეულ საუკუნეებშიც რომ დემოკრატიაში გვეცხოვრა, ჩვენგან ბუნდღა არ დარჩებოდა — ჩინგიზ ხანის, მურვან ყრუს, ჯალალედინის მიერ დანიშნული და დაფინანსებული „ოპოზიციები“ დედაბუდიანად მოგვაოხრებდნენ...

გადემოკრატებული ლიპარიტ ბაღვაშის, ყორღანაშვილების, შადიანების ზეობის ხანა დღეს

საქართველოში. მოღალატეების, საკუთარი სამშობლოს გამყიდველების, უზნეო და უსინდისო ადამიანების გაფურჩქვნისა და აყვავების დრო დამდგარა ჩვენს ქვეყანაში და ისინიც დარბიან მთელ მსოფლიოში, რომ საკუთარი სამშობლო დაასმინონ, დააზიანონ, დაამარცხონ, თვითონ კი სარგებელი ნახონ.

დემოკრატია ვახსენე რამდენჯერმე ცოტა ირონიულ კონტექსტში, მაგრამ არ მინდა, ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს დემოკრატიის საწინააღმდეგო მქონდეს რაიმე, უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენი ძალიან ჭკვიანი და გამოცდილი მტერი დემოკრატიის არსებობას ჩვენს ქვეყანაში ძალიან მოხერხებულად და გონივრულად იყენებს სათავესოვად.

ეს ის მტერია, რომელსაც მთელ მსოფლიოში აქვს გაშლილი თავისი აგენტურული ქსელი და თითქმის ყველგან, ყველა სახელმწიფოს საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციულ ორგანოში, თითქმის ყველა ავტორიტეტულ საერთაშორისო სტრუქტურაში მის კონტროლს დაქვემდებარებული კადრები ჰყავს, რომლებსაც, საჭიროების შემთხვევაში, ხან საიდან მოგვისევს და ხან — საიდან.

იმიტომაცაა ასე აჭრელი და ალუფხული ყველაფერი ერთმანეთში და ზოგჯერ იმის გაგებაც ჭირს, ვინ არის მტერი და ვინ არის მოყვარე, სად იწყება ეს მტერი და სად მთავრდება.

ის ყველგან არის განფენილი და განტოტვილი და, როგორც ვთქვი, ყველა ზერულიდან და ყველა ჭკუჭრუტანიდან მოჰონავს... მოჰონავს...

აი, ასეთ მტერთან უწევს გამკლავება ბიძინა ივანიშვილს და მის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ მან სამჯერ შეძლო ყველაფერ ამაზე გამარჯვება.

ვინმემ იცის, რის ფასად, რა უზარმაზარ რისკებთან შეჭიდების ფასად იქნა მოპოვებული ეს

გამარჯვებები, ისე, რომ ქვეყანა არ დაზიანებულიყო?!

ხომ ნათელია, რომ პიროვნული თავგანწირვის და თავდადების გარეშე ამის მიღწევა შეუძლებელი იყო?

ვინც ამას არ აფასებს, ვინც ამის გამკეთებელ ადამიანს ლაფსა და ტალახს ესვრის, როგორ შეიძლება მას ქართველი ეწოდოს?

თქვენი არ არის ეს ქვეყანა? თქვენ, თქვენი შვილები, თქვენი ოჯახები არ ცხოვრობენ ამ ქვეყანაში? ქვეყანაში, რომელიც ერთმა კაცმა ამდენჯერ გადაგიჩინათ უამრავ საფრთხეს და განსაცდელს?

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო და ვერ მოახერხა ის, რაც ბიძინა ივანიშვილმა შეძლო და მოახერხა — ქვეყანას მშვიდობა, სტაბილურობა, განვითარებისა და წინსვლის პერსპექტივა შეუნარჩუნა.

ეს გააკეთა კაცმა, რომელსაც დიდად არ უყვარს პოლიტიკა და თავის თავს პოლიტიკოსად არც მიიჩნევს, თუმცა არ მესმის, სხვა რა არის პოლიტიკოსობა, მე ვიტყვოდი, დიდი პოლიტიკოსობა, თუ არა ის, რასაც ივანიშვილი აკეთებს?!

დაბოლოს, ძალიან დიდ შეურაცხყოფად მივიღებ, თუ ვინმე გამიბედავს და მეტყვის, რომ ეს წერილი ბიძინა ივანიშვილის საქებრად და საამებლად დაიწერა.

ბიძინა ივანიშვილის საქებრად და საამებლად კი არა ბრძებისა და ყრუების თვალის ასახელებად და გონს მოსაყვანად დაიწერა, იმ ქართველების გამოსაფხიზლებლად დაიწერა, რომლებიც ვერ ხვდებიან, რომ დღეს, ამ ისტორიულ ეტაპზე, ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლა, ეს არის ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ.

უფრო ზუსტად, თვითმკვლელობაა ეს, სუიციდისკენ მიდრეკილების გამოვლინებაა.

კი, მაგრამ, რა გეჭირს ქართველებს, მაინცდამაინც იმ მზაკვრებს რატომ ვუჯერებთ, რომლებიც თვითმკვლელობისკენ გვაქეზებენ და გვარწმუნებენ, რომ ეს კარგია და ეს არის ხსნა და გამოსავალი?!

ამ ოცდაათი წლის განმავლობაში რამდენჯერ უნდა მოვიკლაოთ თავი და რამდენჯერ უნდა გავცოცხლდეთ, რომ კვლავ საკუთარ თავს დავეუმიზნოთ ტყვია, რომელსაც მტერი კანფეტით გვაჩქებს ხან სააკაშვილის, ხან — თემურ ალასანიას, ხან — ნათელაშვილის, ხან — ბოკერიას, ხან — გვარამიას და უამრავ სხვა მოღალატეთა და ვიგინდართა ხელით?!

პასტანა ხარჩილაშა 26 დეკემბერი, 2020 წ.

არ მინდა უბადრუკი სააკაშვილი, საკუთარი დედის სასჯელი და უბედური შვილი, ბიძინა ივანიშვილს შევადარო, მაგრამ ასე გამოდის — „ქართული ოცნების“ წინამორბედებთან შედარებას ვერ გავუქვეყნებთ. ამიტომ ისევე გავიხსენოთ ნაცების 9 წელი და „ოცნების“ 8 წელი და ვინც აქ სასიკეთო განსხვავებას ვერ დაინახავს, შევახსენებ: „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებს არ დაუხვრეტიათ ქუჩებში ახალგაზრდა ბიჭები, არ უწამებიათ ციხეებში პატიმრები, არ დაუღუწავთ მათთვის ძველები, არ ჩაუჭრქვავთ თავის ქალები და გამოშინებული ღამით ჩუმად ეშვებოდნენ არ გაუსვენებიათ ციხეებიდან პატიმრები, არც ყელზე მოუბამთ ცოცხალი ადამიანებისთვის ლოდები და ჭაობში არ ჩაუხრჩვიათ, არც ოჯახები და ბიზნესები უწიოკებიათ, არც სახლები გადაუბუგავთ ყანადურად, არც პროფესორ-მასწავლებლებისთვის უფურთხებიათ სახეებში და დეაქლმოსილი მხცოვანი ადამიანები არ შეურაცხვეყნიათ.

რით სჯობდა „ქართული ოცნების“ მმართველობა ნაცების ბოგინს და თუნდაც იმით, რომ ამ 8 წლის მანძილზე არავის მოუწყვია ავანტურისტული ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, როგორც ეს სააკაშვილმა და მისმა ვითომ სახელოვანმა, სინამდვილეში გარეყარმა და ცარიელმა კაცმა ირაკლი ოქრუაშვილმა, კონება და მტყვევება დაქვეითებულმა მერაბიშვილმა, ცოლების კალთის ქვეშ შეფარებულმა უგულავამ და სხვებმა და სხვებმა გააკეთეს დალის ხეობაში და ცხინვალის რეგიონში.

ყველაფერი შედარებითაა. განცალკევებულად სამყაროში არაფერი არ არსებობს. სააკაშვილი და „ქართული ოცნება“ 2003–12 და 2012–2020 წლები. ხედავთ ლოგიკურ განსხვავებას?

მე ვხედავ. დაუნახავია არის სიბრძნე, ან უმადურობა. ამაზე მახსენდება, დათა თუთაშვილი რომ ამბობს: „ვისაც ჩავაცვი, იმან გამხდაო“.

სადღაც წავიკითხე, ერთი ფსიქოლოგი უმადურობას ასე ხსნიდა: გაჭირვებული მოწყლე თვალთ რომ შევლას ვთხოვს, დაეხმარები და ფეხზე წამოაყენებ, როგორც კი თავს მაღლა აწევს, იმ დღიდან სიკეთის გამკეთებელი მისი პირველი მტერი ხდება, რადგან მან იცის იმ სიგლახაკის შესახებ, საიდანაც იხსნა ის მისთვის სიკეთის გამკეთებელმაო.

ვინც ვერ ხედავს განსხვავებას ივანიშვილის საქმეებს და სხვების საქმეებს შორის, იმ უმადურ გლახაკს ჰგავს, ფსიქოლოგი რომ მიუთითებდა...

დამცირებული, ციხეებში და ბუნკერებში ნაწამები, ომგამოვლილი ხალხი რომ დამშვიდდა, მომავალზე ფიქრი დაიწყო, იმ მართლა ქვეგამხედვარების მიერ ჩუმი გარიგებით კინაღამ დაკარგული გარეჯის დაბრუნებაზე რომ დაიწყო საუბარი, მაშინ წამოსწიეს უმადურებმა ბოლომდე ქვეყარმა-

ლური თავები და ბიძინა ივანიშვილს დაუწყვეს სისინი...

ჩემს თავზე მედიმება: ბიძინა ივანიშვილს რა სჭირს-მეთქი ჩემი დასაცავი.

არ ვიცავ. ვამბობ იმას, რაც არის და რამაც ჩვენს თვალწინ გაიარა 8 წლის განმავლობაში...

ამასწინათ სოციალურ ქსელ ფეისბუქში დაწერილმა ერთმა „ნაცურმა“ კომენტარმა გამაოცა განსაკუთრებით.

ვინმე ხათუნა ბუქური წერდა

ივანიშვილის ქველმოქმედებამ გადაარჩინა უნიკალური ქართული თეატრი, იხსნა შიმშილით სიკვდილისგან ქართველი მსახიობების მთელი პლეადა, გარემონტდა ოპერის თეატრი, ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერით აშენდა და შეკეთდა ასობით სკოლა, სპორტული მოედნები, საავადმყოფოები, მოხდა ქართული მრავალხმიანობის შენარჩუნება და დაცვა ფოლკლორული ანსამბლების დაფინანსებითა და ხელშეწყობით ყველა

მახალგაზრდაველები ინექციებით გაყვებით, ერთ დროს ჯიბეცარიელი მიშა საქართველოს ბიუჯეტის მარცვით გამდიდრებული ფლობს ვილებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, აგვისტოს ომში ჩახოცილი ბიჭების გაყიდული სისხლის ფულით, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ორგანოების ვაჭრობაში აღებული თანხით, იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობით მიღებული მოგებით ტკბება, თუ ამას ტკბობა ჰქვია და ახალ-ახალ

ილპამ ალიევი მათი ბელადია, მათი იმედი და მეთაური.

ილპამ ალიევი მდიდარი კაცია აზერბაიჯანში.

მისი თანხმობის გარეშე ვერც აზერბაიჯანელი ბუზი გადაფრინდება ვერსად, ვერც რუსეთიდან გადმოფრინილი და ვერც თურქეთიდან გადმოხვეწილი.

ყველაფერს აკონტროლებს ილპამ-ადა, ბიზნესს, ეკონომიკას, პოლიტიკას, ხალხს, აზერბაიჯანულ მინდორსაც და ჭალასაც.

მასაც ჰყავს ოპოზიცია, პროდასავლელები, პრორუსები და პროამერიკელებიც, მაგრამ არავის დაუთვლია ალიევის ჯიბეში მილიონები, არც მისი მშვენიერი მეუღლის სამშვენიესების ღირებულება და არც მათი ოჯახი გამხდარა აზერბაიჯანელი ხალხის წყველის და უკიდურესი ლანძღვის ობიექტი.

საქართველოში ზოგიერთები ამბობენ — დიქტატურაა აზერბაიჯანში, ჩამორჩენილი ქვეყანაა აზერბაიჯანიო.

დიქტატურაა თუ პარტოკრატია, იმპერიალიზმია თუ ბელადომანია, ქვეყანა ჰყვავის, ტერიტორიებს იბრუნებს, ქალაქები ევროპულ დონეზე გაშენებულ-გამშენებული, ეკონომიკა ძლიერდება, კულტურას პატივს სცემენ, მწერლებს და მეცნიერებს უდიდეს სუბსიდიებს უგზავნი მთავრობა ყოველ თვე და მითხარით, რა არის წარმატებული ქვეყნის ინდექსაცია, თუ არა ძლიერი ეკონომიკა, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, ერის სულიერი სიმდიერე და ამ ფონზე შობადობის უპრეცედენტო ზრდა?!

რა მნიშვნელობა აქვს, რა წყობილებას დაარქმევ მმართველობის სისტემას, თუ იქ სიმშვიდე, აღმავლობა და მომავლის რწმენა იქნება?!

ილპამ ალიევისთვის არავის დაუთვლია-მეთქი ჯიბეებში ფული, არც არავის უწყველია და, უკაცრადად და, არც არავის უფურთხებია პირადად მისთვის, არც მისი ოჯახისთვის, არც მისი შვილების და შთამომავლობისთვის.

ის ვინ არჩევს ცულს და კარგს. ის ვინ ირჩევს უდა არჩევს მომავალს, და ვინც მომავალს ირჩევს, ის არ მოკვდება...

ეს არაა ლირიკული სიტყვები, ეს არის, როგორც ორჯერ ორი ოთხი — ნეგატივი შობს ნეგატივს, როგორც მტრედი მართვეს, ზოლო გველი — თავის წიწილს...

მე, ერთი ადამიანი, რომლისთვისაც ბიძინა ივანიშვილს არც ფული გამოუგზავნია, არც სხვა სიმდიერე, არც თანამდებობა უბოძებია და არც კეთილდღეობა, არ მინდა, დასაწყისში რომ ვახსენე, ისეთ უმადურ გლახაკს დავემსგავსო და როგორც ამ ქვეყნის შვილი, მადლობას ვუხდი მას.

მადლობა, რომ საქართველოს ჰყავხართ, ბატონო ბიძინა.

მადლობა იმედისთვის, გაკეთებული ბევრი სიკეთისთვის, მადლობა უბრალო ქართველებისთვის გვერდში დგომისთვის, მადლობა ქვეყნის სიყვარულისთვის...

ირანდა კალანდაძე  
593 56 11 18

# პრისკასი



ბიძინა ივანიშვილზე: „ხალხო, სად დააბანდა ამდენი ფული და ოქრო. ეს სერიოზულ ეჭვს აჩენსო!“

მწარედ როგორ არ უნდა გაგეცინოს ახლა ამაზე?!

სხვის ჯიბეში რომ ფულს ითვლის, ის კაცი რამდენად საცოდავი უნდა იყოს, ხომ წარმოგიდგენიათ?!

ბიძინა ივანიშვილმა საქართველოში დამკვიდრების შემდეგ რაც გააკეთა, ყველაფერი ისე გააკეთა, ასეული წლებიც რომ გავა, მაინც საქართველოს რომ დარჩება.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მოყოლებული არ დარჩენილა არც ერთი სფერო ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედების მიღმა. მარტო სამების საკათედრო ტაძარი რად დირს, რომლის აშენება ვერ მოხდებოდა, ბიძინა ივანიშვილისა და ფონდი „ქართუს“ ფინანსური მხარდაჭერის გარეშე. ტაძრის მოხატვის სამუშაოებს დღემდე ფონდი „ქართუს“ ახორციელებს.

ფონდი „ქართუს“ დახმარებით, ხმელთაშუა ზღვის შუა გულში, კვიპროსში, სადაც ქართველმა არქეოლოგებმა ოთხი ქართული მონასტრის ნაშთებს მიაგნეს, წირვა-ლოცვა აღევლინება და იქ ქართული დროშა ფრიალებს, ადღა მუცო, უშუალო, ფონდის დახმარებით, წელიწადში, ათობით ისტორიული ძეგლი რესტავრირდება და ახალ სიცოცხლეს იძენს, აჟამად მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები აწყურის ციხეზე, კუმურდოს ტაძარზე, მალე ამოქმედდება გრაკლიანის მუზეუმი, ბიძინა

რეგიონში, ბიძინა ივანიშვილის დახმარებით იქცა რაგბი ქართველი გულშემატკივრების სიამაყის მიზეზი, ბიძინა ივანიშვილი ათეული წლების განმავლობაში ქართული სპორტის ყველა სახეობის ფედერაციას აფინანსებდა, ქართული განათლების სისტემა მისთვის ყოველთვის იყო პრიორიტეტი — ქალაქი ქუთაისი გახდა საერთაშორისო მნიშვნელობის საგანმანათლებლო კაბი (ცენტრი); ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში მოსპობას გადაარჩინა უნიკალური ჯიშის მცენარეები, მიმდინარეობს 700 ჰექტარი მთაწმინდის გაუვალი ფერდობის განაშენიანება, უკვე გაშენებულია დენდროლოგიური პარკი, მიმდინარეობს განადგურების საფრთხის წინაშე მდგარი აბასთუმნის სამკურნალო კომპლექსის რეაბილიტაცია, ბიძინა ივანიშვილმა პანდემიასთან ბრძოლის ფონდში გადარიცხა 100 მილიონი დოლარი.

სწორედ კორონა ვირუსთან ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის მინიჭა მას ახლახან საფრანგეთის პრეზიდენტმა საპატიო ლეგიონის ორდენი.

და რას აკეთებს ჩვენი ზოგიერთი თანამემამულის სათაყვანებელი სააკაშვილი? რას მოღვაწეობს, თუ ამას საერთოდ მოღვაწეობა ჰქვია?

— სახურავებზე დარბის, ხან საკუთარი შვილის კლასელ სქეს-შეცვლილ ტრანსგენდერთან, ხან უკრაინელ ბოზებთან გორავს, როგორც ეჭვობენ, ნარკოტიკით გაბრუნებული, პოტენციის ასამაღლებელი საშუალებებით, ფსიქოტროპული და სახის კანის გა-

ავანტურებს აწყობს, კვლავ საქართველოში დაბრუნებას ლამობს ეს ერთ დროს გულამშიერი და ახალ დაბრუნებებს სთავაზობს ჩვენს ქვეყანას და მის მიერ გაბრძვიებული მოსახლეობის ნაწილს...

ამ კაცის (თუ არაკაცის) მომხრეები ითვლიან ბიძინა ივანიშვილის ჯიბეში ფულს და ისეთი გლახაკები არიან, რომ ბოლმა აწუხებთ — რატომ არ არის ივანიშვილიც ისეთივე გაჭირვებული, როგორიც მეო...

მეტი არაფერი.

სულ აქამდე დადის იმ ე.წ. ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების — პოლიტიკაში ჩართულების და ჩაურთველების საბოლოო ინტერესი — რატომ იმას და რატომ არა მე...

საშინელი სენი გვჭირს — ერთმანეთის შური მოსვენებას გვიკარგავს და არ გვაძინებს ქართველებს. კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, „თუ დიდი კაცი გამოგვერია, ისე დავეკორტინო, როგორც დაკოდილ ძერას ყვაკები“.

ამასწინათ აზერბაიჯანში ვიყავით მიწვეული ჟურნალისტები. დაგვათვალეიერებინეს ქალაქი, სოფლები, ისტორიული ადგილები. ბოლოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გვიმასპინძლა და ვრცელი საუბარიც გვქონდა (რომელიც დაიბეჭდა „საერთო გაზეთში“).

კეთილგანწყობილად არიან საქართველოს მიმართ და ეს გულწრფელი თუ არაა, დიპლომატიური მაინც ხომ არის?!

# გე კოვიდ-19 დაზარადა



დაახ. 73 წლის ასაკში დავა-მარცხე 21-ე საუკუნის საშინელი ინფექცია, რომელმაც სიკვდილის თვალეში ჩამახვდა.

როგორც ბევრ ჩვენგანს (ასეთები დღესაც ბევრია), მიმანდა, რომ მე არ გადამედებოდა ეს ეპიდემია, იგი მე არ შეემხებოდა, შორს იყო და ჩემამდე ვერ მოაღწევდა. მაღიზიანებდა მოწოდება „დარჩე შინ“, „ქუჩაში არ გახვიდე“, რომელიც განსაკუთრებით ასაკოვან ადამიანებს ეხებოდა. ძნელი შეიქმნა ჩემთვის შინ დარჩენა, როცა ყოველდღიურად საზოგადოებაში მიხდებოდა ტრიალი. მართალია, პენსიონერი ვარ, მაგრამ აქტიურ ცხოვრებას ვეწეოდი, შინ თუ გარეთ სასარგებლო საქმეს ვაკეთებდი. შედარებით უკეთ ვი-

როს მეჯეროდა, ყოველთვის საკადრის პასუხს ვაძლევდი, მაგრამ, დავუშვი მიუტევებელი შეცდომა და დავინფიცირდი — ტრადიციას ვერ ვუღალატე, ვერ შევძელი, არ მივსულავი სამხიმარზე ჩემი მეგობრის ოჯახში, თავს უფლება ვერ მივეცი, შინ დავრჩენილავი, როცა მეგობარს უჭირდა.

ასეა თუ ისე, ეს საშინელი სენი შემხვდა...

კლინიკები ჯერ კიდევ არ იყო გადატვირთული, თუმცა დასრულებულთა რაოდენობა დღითი დღე მატულობდა. საბედნიეროდ, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში მოვხვდი, სადაც პირველი დღიდანვე დამიწყეს მკურნალობა. გაუსაძლი-

ვარ ექიმების: ნატო ჯანაშიას, ნანა ქობალიას, თამუნა ხუფენიას, მარინა ქილორავას; ექთნების: მაკა შენგელიას, ნანა ქარდავას, თეონა თოდუას, სანიტრების დიდი ჯგუფის, რომლებიც ძნელბედობის ჟამს გვერდიდან არ მოშორებოდნენ. კვირაში ორი-სამჯერ გენახულობდა კლინიკის მთავარი მენეჯერი ლევან ფსუტური, მთავარი ეპიდემიოლოგი თიკა ლაგვილაძე.

აღფრთოვანებული ვარ მთელი კოლექტივით, რომელიც 24 საათის განმავლობაში ფეხზე დგას და ებრძვის ამ საშინელ ავადმყოფობას. სამედიცინო პერსონალი, დიდი თუ პატარა, უკანასკნელ ძალისხმევამდე ავადმყოფის გვერდით დგანან. მე ვნახე 85-90 წლის გამოჯანმრთლებული ადამიანები, შინ თავისი ფეხით რომ მიდიოდნენ, ამ ექიმების წყალობით.

მახსოვს, როცა კლინიკის მშენებლობა დაიწყო, აკრიტიკებდნენ, ბიუჯეტის ფული წყალში იყრებოდა. დღეს ეს კლინიკა რომ არ ფუნქციონირებდეს, სამეგრელოს კორონა ვირუსთან ბრძოლა ძალიან გაუჭირდებოდა. აქ შესანიშნავი პირობებია, რომელიც ყველა მოთხოვნებს აკმაყოფილებს. 20 დღე ვიწეე მე ამ კლინიკაში და არც ერთი სიკვდილის ფაქტი არ დაფიქსირებულა, რაც აქ მომსახურე ადამიანების დამსახურებაა.

მხოლოდ რუხის კლინიკაში როდი ემსახურებიან ასეთი თავდადებით ავადმყოფებს, ჩემი ახლობელი გიგლა იზორია თერჯოლის საავადმყოფოში მოხვდა, რადგან სხვა კლინიკებში ადგილი არ იყო. იგი აღფრთოვანებულია იქაური მომსახურებით. ასევეა სხვა კლინიკებშიც: სენაკში, სამტრედიაში, ქუთაისში, ბათუმში, მთელ საქართველოში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, რესპუბლიკის ეპიდემიოლოგიური სამსახური მოწოდების სიმაღლეზე დგას. და, რაც მთავარია, ქვეყნის ხელისუფლებას სწორი სტრატეგია აქვს შემუშავებული და ყველაფერს აკეთებს კორონა ვირუსის დასამარცხებლად.

ვულოცავ ჯანმრთელობის სადაზარაოზე მდგარ მედიცინის მუშაკებს ახალ წელს. მეჯერა, მათი ძალისხმევით საქართველო ყველაზე ნაკლები დანაკარგით დაძლევის ამ სენს.

**ნუგზარ შვანია,**  
ჩხოროწყუს  
საპატიო მოქალაქე,  
ვეტერანი ჟურნალისტი  
599 33 02 84



## სხვები აღიარებენ, ჩვენ ვებრძვით?!

ალბათ, ჩვენი ქვეყნის ტრადიციულად ოდიდგანვე ის იყო, რომ უამრავ შემთხვევაში ქართველ მოღვაწეთა ღვაწლს უცხოეთში უფრო ხედავდნენ და აფასებდნენ, ვიდრე საქართველოში.

როგორც ამ ქვეყნის ერთი მოქალაქე, მსურს, შევურთდე მილოცვებს და მიულოცო ბატონ ბიძინა ივანიშვილს საფრანგეთის

გან, რომელიც ითვლება ევროპული დემოკრატიის და ფასეულობების აკნად და ასევე დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ ლოკომოტივად დღევანდელ მსოფლიოში. შეგახსენებთ კიდევ ერთ ისტორიულ ფაქტს: ორმოცდაათიან წლებში საფრანგეთის პრეზიდენტის შარლ დე გოლის ბრძანებით, უმაღლესი სამხედრო მიღწევებისა და მხედ-



შარლ დე გოლი დიმიტრი ამილახვარს საფრანგეთის უმაღლეს ჯილდოს გადასცემს

„საპატიო ლეგიონის ორდენის“ კავალერის ტიტული, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტმა, ბატონმა ემანუელ მაკრონმა ბატონ ბიძინა ივანიშვილს 2020 წლის 31 დეკემბრის განკარგულებით მიანიჭა.

ვინც არ იცის აღნიშნული ორდენის მნიშვნელობა, შევახსენებ, რომ საფრანგეთის სახელმწიფო პირებს „საპატიო ლეგიონის ორდენის“ კავალერის ტიტულს ანიჭებს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მსოფლიო მნიშვნელობის უმაღლესი სამხედრო ან სამოქალაქო მიღწევებისთვის. ასე რომ, თავად გააანალიზეთ, თუ რა დონის აღიარება და დაფასება ერგო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს, ქველმოქმედსა და მეცენატს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, საფრანგეთის სახელმწიფოსგან. სახელმწიფოს-

რული თავდადებისთვის, ეროვნული გმირი, ქართველი დიმიტრი ამილახვარი დაჯილდოვდა „საპატიო ლეგიონის“ უმაღლესი ორდენით. 2005 წელს საფრანგეთში აღინიშნა დიმიტრი ამილახვარის დაბადების 100 წლისთავი. პარიზის ერთ-ერთ ქუჩას და სენსორის სამხედრო სასწავლებლის აღნიშნული წლის გამოშვებას ეწოდა დიმიტრი ამილახვარის სახელი.

ვულოცავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს ამ უდიდეს აღიარებას და დაფასებას საფრანგეთის სახელმწიფოსგან, საპატიო ორდენის კავალერის ტიტულს და ვუსურვებ წინსვლას და წარმატებებს ჩვენი ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ.

დიდი პატივისცემით  
**მამუკა ნოზაძე**  
ხაშური



დიმიტრი ამილახვარის ასშული



ცავდი პირბადის ტარების წესს, ვიცავდი დისტანციას, ვიყენებდი სადეზინფექციო საშუალებებს, ზშირად ვიბანდი ხელებს და სხვ. ბევრი, განსაკუთრებით ოპოზიციურად განწყობილი ადამიანი, დამცინოდა: ასეთი ავადმყოფობა არ არსებობს და შენ რისი გემინიო. მიმტკიცებდნენ, რომ იგი ამ მთავრობის მოგონილი იყო და არჩევნების შემდეგ ყველაფერი წესრიგში ჩადგებოდა, მოხუცების შემცირება უნდათ, რადგან პენსიონერები არიან და ძვირია მათი რჩენა, ხალხის დამონება სურთ... ათას სხვა უმსგავსეობას აბრალებდნენ მთავრობას. მართალია, მათი არასდ-

სი აღმოჩნდა მე-9, მე-10 დღეები, როცა სუნთქვა გამიჭირდა.

ძნელია იმ განცდის გადმოცემა, რომელიც იმ დროს გეუფლება, განსაკუთრებით ჟანგბადის უკმარისობა საშინელი, როცა პაერი არ გყოფნის და ყოველ წუთს შესაძლებელია სუნთქვა შეწყვიტო.

ცხადია, ექიმების დახმარებით მდგომარეობიდან გამოვედი, ისინი მარტო მედიკამენტებით კი არა, სიტყვიერადაც მამხნევედნენ და არ მომცეს შეშინების, სტრესში ჩავარდნის უფლება, რაც, ამ შემთხვევაში, ყველაზე მნიშვნელოვანია. როგორც ყველა გამოჯანმრთლებული ავადმყოფი, მეც მაღლიერი



# გაბიური სიზჷვე – საქართველო

„სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, მოსკოვში, უკრაინაში თუ სტალინგრადში, ყველგან, გამუდმებით საქართველოს ჯადოსნური სახელი ჩაგვესმოდა. ისინიც კი, ვინც არასდროს ყოფილან იქ, და ვერც ვერასდროს ჩაველენ ალბათ, საქართველოზე მონუსხულები აღტაცებით ლაპარაკობდნენ. ისინი ქართველებზე ისე ყვებოდნენ, როგორც სუპერმენებზე, დიდებული მსმელები არიან, დიდებული მოცეკვავეები, დიდებული მომღერლები, დიდებული მშრომლები და საყვარლები. ამ ქვეყანაში კარგი კლიმატია, ნაყოფიერი მიწა და ზღვის პირასაა. საბჭოთა კავშირის კეთილდღეობაში დიდი ღვაწლის შეტანისთვის ადამიანი საქართველოში მოგზაურობით ჯილდოვდება. აქ, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დიდხანს ავადმყოფობენ, გამაჯანსაღებელი კურორტებია. ომის დროსაც გამორჩეული ადგილი იყო, რადგან გერმანელები იქ არ შესულან, არც თვითმფრინავებით დასხმდნენ თავს და არც ქვეითი ჯარით. იქაურთა ამ ომის დროს საერთოდ არ დაზიანებულა“. ჩვენს ქვეყნის და ერის ეს ფრიად სასიამოვნო შეფასება ამერიკელ მწერალს, 1962 წლის ნობელის პრემიის ლაურეატს ლიტერატურის დარგში ჯონ ერნსტ სტეინ-

რაზე ლაპარაკობდნენ... სტეინბეკის „რუსული დღიურის“ დაბეჭდვა საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ცოტა ხნით ადრე, 1990 წელს მოხერხდა. საეჭვოა, მოსკოვში მოწონებოდათ „რუსული დღიურების“ ის თავი, რომელიც საქართველოს ეძღვნება, მოსწონებოდათ ამერიკელი მწერლის დამოკიდებულება საქართველოსადმი: „ყველგან, სადაც კი მოგზავდებოდით — გამუდმებით გვესმოდა მაგიურ სიტყვა „საქართველო“... კავკასიის ამ ქვეყანას, შავი ზღვის პირას რომ მდებარეობს, მოიხსენიებდნენ როგორც მეორე სამოთხეს. “ჩვენ უკვე გვჯეროდა, რომ რუსების უმრავლესობა იმედოვნებს — თუკი მთელი ცხოვრება პატიოსნად და ზნეობრივად ვიცხოვრებთ, სიკვდილის შემდეგ სამოთხეში კი არ ამოვყოფთ თავს, არამედ საქართველოში“. სტეინბეკი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მხოლოდ ათი დღე დაჰყო, იმასაც ხსნის, თუ რატომ აღიქვამენ რუსები „სამოთხედ“ კავკასიის ამ ქვეყანას: „ისინი არიან მგზნებარენი, ამაყნი, გულმზურვალენი და მხიარულნი და რუსეთის სხვა ხალხების დიდ აღტაცებას იწვევენ... ქართველი მამაკაცები დიდი წარმატების სარგებლობენ რუს ქალებში... თბილისელები უკეთესად არიან ჩაცმულნი და უფრო

უმკვლესია მსოფლიოში. ფიცხი, ამაყი და მხიარული ხალხია. რუსი ხალხები აღტაცებულნი არიან მათით. ყოველთვის მათ ძალასა და ენერჯიაზე, მათ მოხერხებულობაზე ლაპარაკობენ, დიდებული კავალერები და კარგი მებრძოლები არიანო. ქართველი კაცები რუს ქალებს შორის დიდი მოწონებით სარგებლობენ. პოეტი ხალხია, კარგი მოცეკვავეები და მომღერლები არიან, და როგორც ამბობენ, დიდებული საყვარლებიც. ასეც იქნება, ისეთ ბუნებაში ცხოვრობენ და ამ ორი ათასი წლის მანძილზე იმდენი ომი გადახდათ თავს. ქართველები, რომლებიც ჩვენ გავიცანით, (დასავლეთ საქართველოში) უელსელებს ჰგავან. ნებისმიერი ათი კაცი თუ თავს ერთად მოიყრიდა, მათგან შეიდი მანც კარგად მღეროდა. ამ მაგიდასთანაც სიმღერა წამოიწყეს, გუნდური, მომაჯადოებელი. მღეროდნენ ქართველი მწვემებისა და საომარ სიმღერებს. იმდენად კარგი ხმები ჰქონდათ, ისე შეხმატებილებულად მღეროდნენ, რომ პროფესიონალი მომღერლების გუნდი გეგონებოდათ, არადა, არ იყვნენ. და ეს ყველაფერი მოხდა მაშინ, ორი ლუკმის შესაჭმელად და თითო ჭიქა ღვინის შესასმელად რომ შეეჩერდით სადაც...

მწერალი სულ ათი დღე იყო საქართველოში, მაგრამ ჩვენი ქვეყნის კულტურის, ისტორიის შესწავლა მშვენივრად მოუსწრია. მეორე სამაშულო ომის შემდგომ თბილისის იგი ასე ღწერს: „ქალაქის ნაწილი ძალიან ძველია, ხეობას მდინარე კვეთს, რომელსაც ერთ მხარეს მაღალი კლდეები მიუყვება, და ამ მაღალ კლდეებზე ძველისძველი სახლებია ჩამწკრივებული. მართლაც ძველისძველი ქალაქია, მაშინ როცა მოსკოვი წელს თავის მერვა-ასე იუბილეს აღნიშნავს, მომავალ წელს თბილისი ათას ხუთასი წლის იუბილეს აღნიშნავს“.

ქალაქშიც და მთის თემებზეც ძველი ეკლესიებია, საქართველოში ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში შემოვიდა, და ის ეკლესიები, სადაც ახლაც მიმდინარეობს წირვა-ლოცვა, ჯერ კიდევ მაშინ აშენდა. თბილისი უამრავი ძველისძველი ამბის შემომნახველი ქალაქია... თბილისელებს უკეთ ეცვათ, უკეთესადც გამოიყურებოდნენ და უფრო ამაღლებული განწყობაც ჰქონდათ, ვიდრე სხვა რუს ხალხებს. ქალაქის ქუჩებში მხიარულება სუფევდა და იქაურობა ფერადი იყო. სტეინბეკი აღფრთოვანებულია თბილისის ბოტანიკური ბაღით, რომელიც აყვავებული ხეებითა და იშვიათი მცენარეებით ყოფილა დამშვენებული... მწერალი ეკლესიებსაც სტუმრობდა — „თბილისში ბევრი ეკლესია დგას, და უნდა იყოს კიდევ ასე, რადგან რელიგიური ტოლერანტობის ქალაქია, აქ ხომ ძველისძველი სინაგოგები და მუსლიმური ტაძრები დგას, და არც ერთი მათგანი არასდროს არ დაუნგრევიათ. მაღლა, იმ მთაზე, ქალაქს რომ გადაჰყურებს, მამა დავითის ეკლესიაა, რომელიც, როგორც მასხოვს, მე-7 საუკუნეშია აშენებული, ძალიან უბრალო და ლამაზია. ბევრი ადამიანი აღიოდა იმ მიხვეულ-მოხვეული გზებით



ეკლესიაში, ბევრი ადავლენდა იქ წირვა-ლოცვას. ეს ძველი ტაძარი ქართველებს ძალიან უყვართ და იქვე ეკლესიის ეზოში ქართველი მწერლებისა და კომპოზიტორების სასაფლაოა. სტალინის დედაც იქაა დაკრძალული და მის საფლავს ერთი უბრალო ქვა ადგას. ერთი კომპოზიტორის საფლავთან სამი მოხუცებული ქალი და ერთი ბერიკაცი იდგა, რომლებიც ტკბილად, ძველებურ ყაიდაზე გალობდნენ. იმ ძველ ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინებოდა, და იქაც გალობდნენ. ხალხი ამოდიოდა, შემოდიოდა ეკლესიის ეზოში, თითოეული მათგანი იჩიქებდა და ეკლესიის კედლების კოცნიდა. მამა დავითის ეკლესიისადმი რომ ჩამოვედით, საკათედრო ტაძრის ზარები ისე მქუხარედ რეკდნენ, რომ იქ შევედით. მდიდრული ტაძარი იყო, აღმოსავლური, საკმეველსა და დროს ფრესკები სულ გაეშავებინა. ხალხით იყო გადაჭვდილი იქაურობა. წირვა-ლოცვას მოხუცი კაცი უძღვებოდა, თეთრომიანი, თავზე ოქროს მიტრა ედგა, და იმდენად ლამაზი იყო, ირეალური გეგონებოდა. იგი კათალიკოსი და საქართველოს ეკლესიის წინამძღოლია, მისი კაბა ოქროსფერია დაფითაა ნაქსოვი. ღვთისმსახურება დიდებული იყო, და მუსიკოსების გუნდი წარმოდგენილად გალობდა. საკმეველი ეკლესიის გუმბათამდე აღიოდა, გუმბათიდან კი მზე შემოდიოდა და იქაურობას ანათებდა. კაპამ ბევრი ფოტო გადაიღო. საოცარი იყო, ისე ჩუმად მოძრაობდა და იღებდა ფოტოებს, რომ ვერავინ ამჩნევდა. მწერალი მომენტს არ უშვებს რუსებს არ შეგვადაროს და ისინი არ დააკინოს „ქართველი ხალხი სხვა ხალხებთან შედარებით უფრო ლალი ჩანდა, უფრო ფიცხები და უფრო მხიარულები. და იქნებ სწორედ ამიტომ ეთაყვანებოდნენ მათ რუსები. იქნებ სწორედ ასეთები უნდათ რომ იყვნენ.“

თბილისში ყოფნის ბოლო დღეს რობერტ კაპა და ჯონ სტეინბეკი ფუნქციონირებენ რესტორანში ოფიციალურ წვეულებაზე მიიპატიჟეს. გადადღილობის მიუხედავად, მასპინძლებს უარი ვერ უთხრეს, „როგორც შემდეგ აღმოჩნდა, თავიდანვე უფრო მეტი ნდობა უნდა გამოგვეჩინა ქართველების მიმართ, რადგან ის სადილი ისეთი სულაც არ აღმოჩნდა, როგორც ჩვენ წარმოგვედგინა. დიდი წვეულება იყო. ერთი მილის სიგრძის მაგიდა გაემალათ, ოთხმოც სტუმარზე იყო გათვლილი. მოეწვიათ ქართველი მოცეკვავეები, მომღერლები, კომპოზიტორები, კინო-რეჟისორები, პოეტები და მწერლები. მაგიდა ყვავილებით იყო მორთული. ქვემოთ, კლდისპირა ქალაქი კი ბრილიანტების ასხმას წააგავდა. მშვენიერი მომღერალი და მოცეკვავე ქალები ტრიალებდნენ ჩვენ ახლომხლო. სადილი ტრადიციულად, გრძელი სიტყვით დაიწყო, თუმცა ქართველების ხასიათსა და ბუნებას ამის გაძლება დიდხანს არ შეუძლია და მალე იქაურობა პატარა ჯგუფებად დაიყო. ქართველები მკაცრები არ არიან, ამიტომ დიდხანს ვერ უძლებენ დამაბულობას. მალე აქეთ-იქიდან სიმღერა გაისმა, გუნდური სიმღერა. ცეკვა-ცეკვა დაიწყო. ღვინოს ერთმანეთს აწვდიდნენ.

კაპამაც იცეკვა, ვერც მაინც ცდამაინც კარგად, მაგრამ მაინც ღირდა აღნიშვნად. ალბათ ძილმა ძალ-ღონე შეგვმატა, ალბათ ღვინომაც თავისი ქნა, რადგან წვეულებას გვიანობამდე შემოვრჩით. მასხოვს, ერთმა ქართველმა კომპოზიტორმა ღვინის ჭიქა რომ მაღლა ასწია, გაიციინა და დაივივრა, ჯანდაბადაც წაუღია პოლიტიკაო. ისიც მასხოვს, ლამაზი ქართველი ქალი რომ გამოვიცეკვე, რომელიც მსოფლიოში ქართველი ცეკვების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოცეკვავე აღმოჩნდა. ბოლოს მასხოვს, ქუჩაში რომ მღეროდა გუნდი, მერე მილიციელები რომ მოვიდნენ იმის გასარკვევად, რა ამღერებდა იმ ხალხს, და ისინიც რომ სიმღერით შემოუერთდნენ იმ მომღერალთა გუნდს. ენობრივმა ბარიერმა უკანა ფონზე გადაიწია, ნაციონალურმა ბარიერმაც, და თარგმნის საჭიროებაც გაქრა...

საქართველო ჯადოსნური მხარეა და სიზმრისებურ ზმანებას ვის-გავსება იქიდან წამოსვლის შემდეგ. ქართველებიც ზღაპრული ხალხია. მართალია რომ ამბობენ, ერთ-ერთი უმდიდრესი და უმშვენიერესი ქვეყანაა მსოფლიოში. მიხვდით, რატომ გვეუბნებოდნენ რუსები, „ვიდრე საქართველო არ გინახავთ, ჩათვალეთ, არაფერი გინახავთ“. 1967 წელს ჯონ სტეინბეკი კიდევ ერთხელ ჩამოვა საქართველოში. მოგზაურობის შთაბეჭდილებებს იგი აღარ გამოაქვეყნებს. თუმცა მეგობრებს ეტყვის, რომ თბილისი არ შეცვლიდა. ისეთივე სუფთაა და სიცოცხლით სავსე.



ბეკს ეკუთვნის. მან, ამერიკელ ფოტოგრაფ რობერტ კაპასთან ერთად 1947 წელს ცივი ომის პერიოდში იმოგზაურა საბჭოთა კავშირში. მოინახულეს მოსკოვი, სტალინგრადი, კიევი, უკრაინის რამდენიმე სოფელი და საქართველოს ქალაქები. სტეინბეკის „რუსული დღიური“ სწორედ ამ მოგზაურობას აღწერს. მწერალი გულახდილად მოგვითხრობს თავის შთაბეჭდილებებსა და იმ მიზანზე, რომელიც მოგზაურობას საფუძვლად დაედო. იმხანად, იმის მიუხედავად, რომ ამერიკული ჟურნალ-გაზეთები ბევრს წერდნენ საბჭოთა კავშირზე, თურმე ამერიკელ მკითხველს არავინ უყვებოდა საბჭოთა კავშირის მოქალაქეების ყოველდღიურ ამბებს და არც მათი ცხოვრების ამსახველი ფოტოები იბეჭდებოდა სადმე. სტაინბეკსა და კაპას რომელმაც ხუთასამდე ფოტო გადაიღო თბილისში, გორში, ბათუმში. სურდათ ამერიკელებისთვის ეჩვენებინათ, როგორ ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირში უბრალო ადამიანები — რას ჭამდნენ, როგორ ეცვათ, როგორ ერთობოდნენ, როგორ კვდებოდნენ,

ლაღად გამოიყურებოდნენ იმ ხალხთან შედარებით, ვისაც რუსეთში შევხვდით. ქუჩები ხალხისა და ცოცხალ შთაბეჭდილებას ტოვებს“.

სტეინბეკი გააკვირვებულია, რომ ფეხბურთი საქართველოში ინგლისელებზე უფრო უყვართ, "ბორჯომზე" წერს, ასეთი წყალი ჩემს ცხოვრებაში არ დამიღვებიაო, თბილისის შესახებ აღნიშნავს, რომ საქართველოს დედაქალაქი საბჭოთა კავშირში ყველაზე სუფთაა, ყველაზე მოვლილი. მწერალი ქართველების გარეგნობას ასე აღწერს: „სხვანაირი გარეგნობა აქვთ. შავ-რემები არიან, ელვარე კბილები და გრძელი, ლამაზი ცხვირი აქვთ, თმა კი ტალღოვანი. თითქმის ყველა კაცი ულვაშს ატარებს, და ისინი ქალებზე ბევრად მიზიდველები არიან. გამხდრები და ენერგიულები არიან, შავი თვალები უცემციმებთ. ადრეც წავიკითხავს და მოგვიყვინენ კიდევ, რომ ისინი ძველი სემიტი ხალხია, ევფრატის ხეობაში ცხოვრობდნენ ჯერ კიდევ ბაბილონის დროს. ისინი შუშურები არიან და მათი მოდგმა ერთ-ერთი

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი ერთ-ერთი სხეულის ნაწილი, ჩვენი აჭარლები, ბათუმიდან აჭარის უკიდურეს სოფლამდე მცხოვრებნი, როგორც წესი, ერთდებიან საკუთარი რწმენის გამოჩენას. გულსხეულში, სადღაც, ღრმად ინახავენ ამ „საიდუმლოს“, რადგან ისლამის დაფარვა, სინამდვილეში, გაუცნობიერებელი ტკივილის და რაღაცნაირი უზერხულობის დაფარვაა.

აჭარლებიც გრძობენ ამას, ლოცვის უფლება მოგვეცითო, ამ პრივილეგიას ითხოვენ და უკვირთ, გურულები რომ შეეწინააღმდეგენ...

საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა, ჩვენთვის ენა, მამული და სარწმუნოება ერთია, ჩვენი წინაპრები ქრისტესთვის იხოცებოდნენ, დვთისმშობელი იფარავს საქართველოს, მისი ხელთუქმნელი პერანგიც სამეგრელოშია



# „როცა სულიანი სტაბილუს დაბრუნდა, დედაჲ ჰკითხა: „მისარია, მუვილოზით როჲ დაბრუნდი, მუვილო ჩემო, მამრამ ქართველები სოჲ არ დაბსხიან თავს?“

ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მუსულმანური რწმენის გამო აჭარებს ქართველობის და ქვეყნის ერთგულების დამტკიცება თითქოს მუდმივად სჭირდება.

ასე იყო წლების განმავლობაში.

შეიძლება ითქვას, ასეა ახლაც...

აჭარლების და არა მხოლოდ აჭარლების, მთელი საქართველოს საყვარელი პოეტი ზურაბ გორგილაძე წერდა: „ტკივილს დრო მოჰკლავს და წაიღებს, ნუთუ ჩემმა აჭარლობამ, საქართველოს წაუხდინა რამე?!“

ნაცნობი მომიყვანა: რამდენიმე წლის წინ აჭარაში მეჩეთის მშენებლობის ამბებთან დაკავშირებით ერთ მოხუც აჭარელს უთქვამს: თუ მოგვცემენ მეჩეთის აშენების უფლებას, გაგვიხარდება მუსლი-

დასვენებული, ქრისტეს მოწაფის, წმინდა ანდრეას უზრუნველი ნაწილებიც საქართველოს ეკუთვნის, სასწაულთმოქმედი წმინდა ნინოს ნაბიჯებია აქ, ჩვენი აჭარლებო.

ამას უფრთხილდებიან გურულები ბუქნარში...

დიდი თურქეთის რელიგიის მოძალეებს, ანუ სულიერ დაპყრობას, ექსპანსიას რომ ეძახიან, იმის ეშინიათ, გურულებს, მეჩეთი და ჯამე თურქულ ისტორიულ მტრობას ახსენებთ და შეიძლე-

არტანუჯი. თურქები ადრიან გაზაფხულზე მოდიოდნენ საქართველოში თავიანთი ჯოგებით და დაზამთრებამდე აოხრებდნენ ქვეყანას. კლავდნენ, ძარცვავდნენ, ატყვევებდნენ ქართველებს. განადგურდა სოფლის მეურნეობა, მოიშალა ეკონომიკა, მოსახლეობა მთებსა და გამოქვაბულებს აფარებდა თავს. შიმშილობა ჩამოვარდა. ხალხი ხის ფოთლებით იკვებებოდა.

1104 წელს მოხდა სელჩუკების



მებს, თუ არა, მოვითმენ... საქართველოს გულისთვის მოვითმენ, როგორც აქამდე ვითმენდითო...

ასეთი დამოკიდებულება იყო ყოველთვის ამ საჩოთირო საკითხისადმი აჭარლების მხრიდან და რა ვქნა, დაგვემღ პროვოკაციად მომეჩვენა გასულ კვირას ჩოხატაურში, სოფელ ბუქნარში მიმდინარე მოვლენები, თორემ, აჭარლები, ამ საყოველთაო გაჭირვების დროს, გურულებს ჯიბრში როგორ ჩაუდგებოდნენ?!

ბედმა არგუნა აჭარას მუსულმანურ თურქეთთან ახლოს ყოფნა. გალესილი დანის პირზე ცხოვრობენ ჩვენი აჭარლები.

მუსულმანური სარწმუნოების მქონე ძლიერი ქვეყნის პირისპირ დგომას, თავს რომ მოაბრუნებ და თურქული კულტურის, მენტალიტეტის და ეკონომიკის წინაშე რომ დგახარ საქართველოსთვის ამ მძიმე დროს, ამას ვგულისხმობ დანის პირზე დგომაში და გმირობის ტოლფასია აჭარლობა ახლა, როგორც ყოველთვის...

ბა, ქვეყნის შიგნით ეკონომიკური სიდუხჭირის უღელქვეშ იტანჯებოდნენ, მაგრამ მუსულმანური კომპარის გახსენება გენეტიკურ შიშს გვრით...

თუ რატომ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

1065 წელს თურქებმა პირველად ილაშქრეს საქართველოში. ააოხრეს თრიალეთი, სამცხე, შავშეთი, კლარჯეთი და ჯავახეთი. ალფ-არსლანმა აიღო ახალქალაქი და ამოწვევითა მოსახლეობა.

1068 წელს კახეთ-ჰერეთი მოარბიეს.

1079 წელს კიდევ ერთხელ დალაშქრეს საქართველო, მაგრამ 1080 წლიდან რომ წამოვიდა დიდი და წამლევავი ტალღა თურქი სელჩუკიანებისა საქართველოსკენ, ისეთი მანამდე არავის ახსოვდა. „დიდი თურქობა“ უწოდა ამ ლაშქრობას მაშინდელმა ისტორიკოსმა.

მომთაბარე თურქები სასტიკად აოხრებდნენ შავშეთს, აჭარას, სამცხეს, ქართლს, არგვეთს, კლარჯეთს. დაწვეს ქუთაისი და

მორიგი შემოსევა საქართველოში და ერწუნის ბრძოლა.

1110 წელს სელჩუკები სასტიკად დაამარცხა დავით აღმაშენებელმა თრიალეთთან.

1121 წელს მუსლიმთა კოალიცია კვლავ გაანადგურა დავით აღმაშენებელმა დიდგორის ველზე. ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა მუსულმანური თურქების დაუღალავი რბოლა და ქართველების სისხლის ღერა.

მათთან ბრძოლაში დავით გიორგი VII, მეფე, რომელსაც ქედი ვერ მოახრევინა აზიის მბრძანებელმა თემურ ლენგმა.

თურქმანებთან ბრძოლაში დაიღუპა საქართველოს მეფე კონსტანტინე.

1482 თურქების მიერ ახალციხის აღება, სამცხისა და დმანისის დარბევა, აწყურის ციხის აღება.

1487 ქვემო ქართლის დარბევა.

1488 იღებენ თბილისს და მოსახლეობას სასტიკად უსწორდებიან.

1489 წელს თურქმანებმა თბილისში გარნიზონი ჩააყენეს.

1498–1500 წ.წ. ოსმალების შემოსევები სამცხესა და ჭანეთში.

1510 წელს ოსმალები სულთნის მემკვიდრე სელიმ ფაშას მეთაურობით იმერეთის სამეფოს დაესხნენ თავს, დაარბიეს და გადაწვეს ქუთაისი.

1513 წელს ქართლში მოხდა თურქების დიდი ლაშქრობა.

1520 წელს ყიზილბაშებმა შაჰ ისმაილის სარდლობით თბილისი აიღეს, გადაწვეს, შემდეგ სამცხე მოარბიეს.

1543 წელს ოსმალები 22000-იანი ლაშქრით ტაოში შეიჭრნენ, ოლთისს ალყა შემოარტყეს.

1545 წელს ოსმალებმა დიდძალი ჯარი გამოგზავნეს სამცხეში. გადაწვეულ ბრძოლაში სოხოსის ტაძრის ქართველები დამარცხდნენ. აქედან მოყოლებული სამცხე ოსმალებმა საბოლოოდ დაიპყრეს.

1549–1451 წელს ოსმალთა ჯარებმა მესხეთი ააოხრეს, თორთუმის ციხე აიღეს, მესხების ნაწილი დახოცეს, ნაწილი დაატყვევეს და მონებად აქციეს. ამის შემდეგ ოსმალები გურიას შეესივნენ და ჭანეთი მოსწვეტიეს გურიას.

1551 წელს არტაანი აიღეს და ამით დაასრულეს სამცხის დაპყრობა.

1555 წელს ამასიის ზავით ოსმალეთმა და ირანმა საქართველო გაიყვეს. დასავლეთ საქართველო და სამცხის დასავლეთ ნაწილი ოსმალეთს შეხვდა, აღმოსავლეთ საქართველო და სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი კი ირანს.

„როცა სულიანი სტაბილუს დაბრუნდა, დედაჲ ჰკითხა: „მისარია, მუვილოზით როჲ დაბრუნდი, მუვილო ჩემო, მამრამ ქართველები სოჲ არ დაგსხიან თავს?“

– არა, დედაჩემო, ნუ გეშინია, ვინაიდან მე აღემართე უმაღლესი კედელი ოსმალეთსა და საქართველოს შორის.

– როგორ შეძელ, შეილო, კედლის აშენება ამოდენა მანძილზე?

– შევსძელ, დედაჩემო, შევსძელ. მე იგი ავაგე ქართველების ხორცი და სისხლით, ამიერთი- გან ვერასოდეს გადმოლახავენ

ქართველები ოსმალეთის საზღვარს.“ — მიუგო სულიმანმა („დედა ისტორია“, 2005, გვ. 183)

1578 წელს ჩილიდრის ველზე ერთმანეთს ოსმალეთი და ირანი დაეტაკნენ. ირანის მხარეს „ირანელი მესხები“ იბრძოდნენ, „თურქთა მესხები“ კი არ ჩანდნენ. ბრძოლა თურქთა გამარჯვებით დასრულდა.

მანუჩარ ჯაფელი გვიან გამოცხადდა ბრძოლის ველზე და დაგვიანებისთვის მოიბოდიშა. თურქმა სარდალმა ლაღა ფაშამ ირანის მხარეზე მებრძოლი მესხები გამოიყვანა და მანუჩარის თვალწინ ყველანი კოცონზე დააწვევინა...

1578 წელს თურქები გადამწვარი თბილისში შევიდნენ, შემდეგ კი მთელი აღმოსავლეთი საქართველო დაიპყრეს.

ეს არის „მცირე“ ჩამონათვალი საქართველოს გამუსულმანებისთვის მებრძოლ მეზობელთა „ღვაწის“.

ამ ბრძოლებში ყოველთვის აჭარის ქართველებიც ებრძოდნენ საქართველოს მტრებს და როგორც იყო, აჭარა სისხლით და ცრემლით გაამუსულმანა მაჰმადიანურმა ძალამ...

დღეს ისლამი, როგორც არადომინანტური რელიგია, საჯარო სივრცეში დემოკრატიის პრინციპებზე დაყრდნობით აპირებს გაძლიერებას საქართველოში. კერძოდ, აჭარიდან იწყებენ გენერალურ შეტევას. ამის მაგალითია, ახალი მეჩეთების აშენებისთვის ბრძოლა არა მხოლოდ აჭარაში, არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

მათი, საქართველოს მტრების, გულის გასახარად გაბუნტებთ, აჭარლებო, ვიდეცები, ვიდეც უჭკუო შინაური გამყიდველები და პროვოკატორები, პირადი, პოლიტიკური მიზნების გამო, თორემ ლოცვა არავის არასდროს დაუშლია თქვენთვის, თქვენც იცით ეს და ამაზე რაღას გვალაპარაკებთ?!

როცა ყარაბაღის ომში აზერბაიჯანის გამარჯვებას თურქეთი საკუთარ გამარჯვებად მიიჩნევს, ბუქნარში, პროვოკატორების მიერ გაჩაღებული ეს ვითომდა წვრილმანი კინკლაობა მოქმედებაში მოყვანილი ნაღმია...

ჩვენ, ქრისტიან თუ მუსლიმ ქართველებს, გარდა ჩვენ-ჩვენი რელიგიებისა, გვაქვს ერთი საერთო „რელიგია“ — საქართველო და საქართველოს სიყვარულს, როგორც დემრთს, ისე არ ელაღატება...

ირანდა კალანდამ 593 56 11 18

# არსებობს ეჭვი, რომ გამოსრულებულია სააკაშვილმა ჩისუბლიკის სტაბილური აღდგენილ ე.წ. სამხრეთ ოსეთს რაჭის ნაწილის უფლებება

საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარზე არსებული პრობლემების შესახებ გვესაუბრება პროფესიონალი მესაზღვრე, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, მაიორი ამირან მელაშვილი.

საუბარი მამისონის უღელტეხილით (რაჭა) დავიწყეთ, რომელიც ნაცრეფიმის უგუნური, გამყიდველური პოლიტიკის შედეგად დაგვარგეთ და ჩვენი მესაზღვრეები რამდენი კილომეტრით არიან უკან დახეული ისტორიული საზღვრიდან.

**ამირან მელაშვილი:** მამისონი ძალზე მნიშვნელოვანი უღელტეხილია, გადასასვლელია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. სტრატეგიულად იმითაცაა კარგი, რომ ყაზბეგის (სტეფანწმინდა) მიმართულებით გადასასვლელი, ჯვრის უღელტეხილი ზამთარში თითქმის მთლიანად იკეტება. შემოხსენებული უღელტეხილიც იკეტება ხოლმე, მაგრამ ყაზბეგისგან განსხვავებით, აქ ზვავსაშინროება თითქმის არ არსებობს, რადგან მამისონზე ფაქტობრივად არ ჩამოდის ზვავები. სხვათა შორის, ახლაც არის საუბარი კავკასიონის ამ გადასასვლელის გახსნის თაობაზე, რადგან აქედან არის უმოკლესი გზა ფოთამდე, ეს გზა მიყვება რიონის სათავიდან, რომელიც მამისონის გვერდითაა, ბო-

გრუნტიანი (მოუასფალტებელი) გზა იყო, რისი გამოსწორებაც შესაძლებელია. რუსეთის მხარეს გადასასვლელთან ყველაზე ახლოს დასახლება „ნიჟნი“ (ქვემო) ზარამაგია, ჩრდილო ოსეთის, აქედან გადიხარ ვლადიკავკასისკენ. ვიმეორებ, უპრობლემოდ გავდიოდით აქედან რუსეთში.

ერთი პერიოდი (1996-1997 წწ) მამისონზე სასაზღვრო გამშვები პუნქტის გახსნაც უნდოდათ, რამდენადაც მასხოვს ნიკო ლეიშვილის ინიციატივა იყო, რომელიც თუ არ ვცდები, მაშინ სახელმწიფო მინისტრის პოსტს იკავებდა. რუსეთთან მიდიოდა მოლაპარაკება, რომ გახსნილიყო ჩვეულებრივი გამშვები პუნქტი, გზებსაც რომ იტყვიან, მხოლოდ ხელის შეკლება ჭირდებოდა და თავისუფლად



აქვს, იმხელა სამთო ბატალიონები ყავს მომზადებული, რომ თუ დასჭირდა აგრესია, დედაქალაქშიც შემოვა. ეს გზები თუ არ იყო აღდგენილ-გახსნილი, ვერ ჩამოვიდნენ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო შენაერთები თბილისამდე? ასე რომ, აბსურდული მოტივაცია, ყველაფერს რომ თავი დაევანებოთ, რუსებს ორი უზარმაზარი სამხედრო ბაზა აქვთ შიდა ქართლში. ამიტომ უმჯობესია რუსეთთან ურთიერთობით, რომელსაც უზარმაზარი გასაღების ბაზარი აქვს, რაც შეიძლება მეტი სარგებელი ვნახოთ. ამ კუთხით მამისონი ძალიან დიდი პოტენციური საშუალება შეიძლება გახდეს, რადგან კავკასიონიდან ფოთის პორტამდე მისასვლელი უმოკლესი გზაა აქ გადის ჩრდილო ოსეთისა და ყაბარდო-ბალყარეთისთვის, ანუ რუსეთისთვის, გზა რომელიც ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში არ ჩაიკეტება.

**- ბატონო ამირან, ფაქტია, რომ მამისონის უღელტეხილთან ქართველი მესაზღვრეები აღარ დგანან. ზოგიერთი ინფორმაციით, 15 კილომეტრითაა საქართველო-რუსეთის საზღვარი ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში გადმოწეული. თვითონ დავტოვეთ იქაურობა თუ დაგვანებენ, რა ხდება რეალურად მამისონზე?**

- სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდე, გეტყვი, რომ ეს უღელტეხილი მნიშვნელოვანია იმითაცაა, რომ მხოლოდ ერთხელ გადმოლახეს საჯარისო ნაწილებმა. 1921 წელს რუსეთის მე-11 არმიის შენაერთები აქედან გადმოვიდნენ, აქედან დაიწყო საქართველოს გასაბჭოება ჭიათურის მიმართულებით. მამისონიდან შემოვიდა დიგორის რაზმი, დიგორა ჩრდილო ოსეთის ერთერთი რეგიონია. სხვა შენაერთები თბილისისკენ წავიდნენ, ეს რაზმი კი ჭიათურასა და ქუთაისში შევიდა. დიდი სამამულო ომის დროს (მეორე მსოფლიო ომი), მამისონი კავკასიის ფრონტის ძირითადი მომარაგებელი გზა იყო, აქედან მიეწოდებოდა ყველა საშუალება, რაც კი ფრონტისთვის იყო საჭირო.

თავის დროზე, ვგულისხმობ კომუნისტების მმართველობის პერიოდს, ეს ტერიტორია ოლქის შემადგენლობაში იყო. მანდ ჩამოდის

პატარა მდინარე ჭანჭახი და ამ მდინარეს მიუყვებოდა ადმინისტრაციული საზღვარი. 1996 წლის ოქტომბერში დადებით ქართველი მესაზღვრეები მაგ ტერიტორიაზე, ავიყვანე ჯარისკაცები და დავბინავდი მეტეოსადგურის შენობაში, რომელიც პირდაპირ კავკასიონზე, უღელტეხილზე მდებარეობს და შესაბამისად, მაშინაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იყო. ჩვენ ხელმძღვანელობამ გვითხრა, რომ მეტეოსადგურის შენობაში უნდა განვლაგებულყოფიყავით. რუსები მაშინაც წინააღმდეგები იყვნენ ჩვენი იქ განლაგების და რომ გაიგეს იქ ავედით და პოზიციები დაეკავეთ, მოგვადგა რუსი სამხედროების შეიარაღებული 5-კაციანი ჯგუფი, ოფიცერი ოთხი ჯარისკაცით. რუსმა მესაზღვრეებმა მოგვთხოვეს ეს ტერიტორია გავეთავისუფლებინა, რადგან ასეთი ბრძანება ჰქონდათ მიღებული.

მაშინ ხელმძღვანელობა გვეყვავდა ისეთი, ვიცოდით უკან არ დაიხევდნენ, მხარდაჭერას ვგრძნობდით. გენერალი ვალერი ჩხეიძე იყო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსი. მერე დაიწყო წერილობითი საკითხის მოგვარება, რამდენადაც მასხოვს, მოსკოვიდან მოსწერეს ბატონ ვალერი ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ იჩივლა კრემლში და იმიტომ წამოვიდა ეს წერილი, მაგრამ ვალერი ჩხეიძემ თქვა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოა და ამით დამთავრდა. ასეთი პოზიცია იყო, გვითხრა ხელმძღვანელობამ, დაიკავეთ მეტეოსადგურის შენობა და ჩვენ მაშინ ეს გამოგვივიდა. მერეც არ გვექონია პრობლემა, რაც ფაქტობრივად 2008 წლამდე გრძელდებოდა. რაც შეეხება ომის დროს საზღვრის გადმოწევას, დაზუსტებით ვერ გეტყვით რამდენი კილომეტრითაა გადმოწეული რაჭის ტერიტორიის სიღრმეში, რადგან კაი ხანია, იქ აღარ ვყოფილვარ. ვერ ვიტყვი, მე მაგარი ვიყავი და შევინარჩუნე ეს ტერიტორია-თქო, მაგრამ ფაქტია, უკან დაიხიეს ჩვენმა მესაზღვრეებმა იმ მიმართულებით, რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში იყო და კიდევ უფრო მეტი იყო, ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზეც დაიხიეს. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსებმა მანამდე ჩვენი

მესაზღვრეების სადგომს რაკეტები ესროლეს, იმ წუთას არავინ დალუპულა, მაგრამ გადმოცემით ვიცი, რომ დაშინება ნამდვილად იყო. ასეთ პირობებში ისინი მეტეოსადგურის ტერიტორიაზე ვეღარ ადიოდნენ და ფაქტობრივად გამოდევნეს რუსებმა იქიდან. ქართველი მესაზღვრეები მერე მწყემსების ბინაში იყვნენ დაბანაკებული, მაგრამ ამ ნაგებობასაც ესროლეს რუსებმა რაკეტა. ამის მერე დაიხიეს ჩვენებმა რამდენიმე კილომეტრით.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთ რთულ პირობებში მოუწიათ ჩვენს მესაზღვრეებს ყოფნა, იმ პერიოდში ქართულმა მხარემ აქაც დაუშვა შეცდომა, თვითონვე ააფეთქეს ე.წ. ნიკოლოზის ხიდი. ეს იყო მეფე ნიკოლოზის დროს აშენებული ხიდი, რომელიც მამისონიდან 10-15 კმ-თაა დაშორებული, მართლა ძალიან კარგი ხიდი იყო. ახლა იმ ტერიტორიაზე არიან დახეული ჩვენი მესაზღვრეები. ეს ხიდი თითქოს იმიტომ ააფეთქეს, რომ რუსები ტანკებით არ შემოსულიყვნენ. ესეც აბსურდული მოტივია, მაგ ხიდის აშენების და საფორტიფიკაციო საშუალებები რუსებს არ უჭირდათ, სურვილის შემთხვევაში, ნახევარ საათში აღადგენდნენ. ამიტომაც ვამბობ, რომ არ უნდა აფეთქებინათ საუკუნოვანი ხიდი. რასაც არ ცნობენ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიად მტერ-„მოყვარენი“, იქ მიახლოებაც შეიძლება და ქართველი მესაზღვრეების დგომა, რატომ არ ვიცვლით პოზიციას, ეს უკვე ხელისუფლების მაღალი ეშელონების ხედვის თემაა, მესაზღვრეებს ნამდვილად ვერ დავადანაშაულებ. რა წერია იმ ხელშეკრულებაში, რასაც 2008 წლის ომის შემდეგ მოაწერა ხელი ნაცხელისუფლების ლიდერებმა, საზოგადოებამ დაზუსტებით არაფერი ვიცით, თავიდანვე გაასაიდუმლოეს. ვეთანხმები თქვენს მოსაზრებას, რომ არ არის გამორიცხული მათგან ბელმა სააკაშვილმა, რესპუბლიკის სტატუსში აღდგენილ ე.წ. სამხრეთ ოსეთს, რაჭის ტერიტორიის ნაწილიც „უფექტა“.



ლომდე, ანუ შავ ზღვამდე. ფოთის პორტიდან რუსეთისკენ მიმავალი ტვირთები ზამთარში თვეობით რომ დგას ყაზბეგის რაიონში, აქ ეგ პრობლემა არ იარსებებს და ტვირთბრუნვაც გაიზრდება, რაც დადებითად იმოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ მხარის უნიკალურობა ზუსტად იმაშია, რომ გზაზე ზვავი არ ჩამოდის და გაწმენდითი სამუშაოებიც ყაზბეგთან შედარებით იოლია. თავის დროზე, პომპეუსიც კი იბრძოდა კავკასიონის ამ გადასასვლელის მოსაპოვებლად, იმდენად მნიშვნელოვანი ადგილია. ერთი სიტყვით, კავკასიონზე გადასასვლელად ყველაზე უსაფრთხო გზაა, რომელიც კომუნისტების მმართველობის დროსაც ფუნქციონირებდა და შემდგომ პერიოდშიც. 1996 წელს, პირველი სასაზღვრო სექტორი მე გავხსენი მამისონის მონაკვეთზე, მაშინაც მოქმედებდა გზა და რუსეთში გადასასვლელი, ყველანაირი ავტომანქანა მოძრაობდა, უბრალოდ

შეიძლებოდა მოძრაობა. სამწუხაროდ, ეს მოლაპარაკება ჩაიშალა, მოგვიანებით როგორ განვითარდა რუსეთთან ურთიერთობები, თავადაც მოგეხსენებათ. მგონია, საზღვრის ამ მონაკვეთზე გამშვები პუნქტის გახსნა, ახლაც აქტუალური ხდება, არის ამაზე საუბარი, მაგრამ რამდენად იქნება შესაძლებელი, არ ვიცი. ჩვენ ძალიან დაშინებული ვართ რუსეთის ფაქტობრივად, აფიტირებული ვართ რაღაცა სხვა მოტივებით, არადა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობას. რაჭისთვის ეს იქნება ნომერ პირველი ხსნა, რომელიც შეიძლება ჰაბადაც კი გადაიქცეს, მით უმეტეს თუ ყაბარდოსა და ბალყარეთის მიმართულებითაც გაიხსნება გზები.

თურმე იმიტომ უნდა გვემინოდეს, რომ ახალი გზებით რუსეთი „თავისუფლად“ შემოვა საქართველოში. რუსეთის ისეთი დონის და იმდენი ტექნიკური საშუალებები, ისეთი სამხედრო პოტენციალი

მანანა სუსნიოვილი  
599 51 28 24

# „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთიანობას წყალი შეუღება – სულ გალე ენა რაქონივე პარტიად დაიშლება!

საკაშვილი კიევი სულ დობლებს ყრის თურმე — ეს რა ქენით? ლევან ვარშალომიძეს ნიკა მელია როგორ ამჯობინებ? მელიამ რა იცის პოლიტიკის? ვარშალომიძეს რომ უარი უთხარით, ამით მე დამარტყით დანა ზურგში, ხომ?

თბილისში თავს იმართლებენ: როგორც თქვენ გვითხარით, ისე გააკეთეთ, უფროსო. ელექტრონული კენჭისყრით კიდევ ეს შედეგი დაჯდა და რა გვექნაო?

ასეა თუ ისეა, ნიკანორი ენმ-ის თავმჯდომარე გახდა და მომხდარს ახლა უკვე ვერაფერი უშველის.

— ელექტრონული წესით კენჭისყრა იმპროვიზაციით გვიხდებოდა, რომ მოგესხებოდათ, „ნაციონალურ მოძრაობას“ 500 000-მდე მხარდამჭერი ჰყავს.

მათ ყულაბაში — ერთი ეს გამაგებინა და სხვა არაფერი მინდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ რიგებში უკვე დაიწყო მითქმა-მოთქმა: რამდენად არის მელიას თავმჯდომარედ არჩევა ლეგიტიმური, როცა მის კანდიდატურას ენმ-ის 500 000 მხარდამჭერიდან მხოლოდ 14000-მდე ადამიანი დაუჭირა მხარი, რაც ენმ-ის ელექტორატის 3%-იც კი არ არის. სად არის დანარჩენი 480 000 ადამიანი და ვინმემ იცის, ვის უჭერენ ისინი მხარს?

საინტერესოდ დასმული ისეთი კითხვაა, რომელიც, ალბათ, ძალიან დიდხანს არ მოიხსნება დღის წესრიგიდან.

როგორც გამოცდილი და ბევრის მნახველი ექსპერტები ვარაუდობენ, „ერთიანი ნაციონალური

შევდრომს“.

საყურადღებო და საგულისხმო ამბად უნდა მივიჩნიოთ მელიას ბოლოდროინდელი ღია დაპირისპირება გუბაზ სანიკიძესთან, რომელიც ამ ინციდენტამდე თემურ ალასანიას და სააკაშვილის განდობილ პირად ითვლებოდა, თუმცა მელია არც ამას მორიდებია და ჯერ ღია ეთერში „მიანძორა“, შემდეგ კი, როგორც ამბობენ, კულისებში ცოპივით აგუნდავა „ნაციონალური მოძრაობის“ ახლადგამოჩეკილი „გებელის“ გუბაზი.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით უკვე გაჩნდა რამდენიმე „სეპარატისტული“ დაჯგუფება, რომლებსაც განსხვავებული შეხედულებები აქვთ პარტიის სამოქმედო



ანქაროს და გააღრმავოს პარტიაში დაწყებული რღვევის პროცესები.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ არიან ადამიანები, რომლებიც დიდი ხანია ხვდებიან, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი თავის ტკივილი, პარტიის წარმატების მთავარი დამამუხრუჭებელი ძალა ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ კი არა, მიხედვით სააკაშვილია.

მათ იციან, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლებაში დაბრუნება ვერ ელირება, სანამ სააკაშვილს არ მოიკვით და მთლიანად არ გათავისუფლდება იმ ძალებისგან, რომლებსაც სააკაშვილთან ერთად საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე მძიმე დანაშაულები აქვთ ჩადენილი.

საკაშვილიც შესანიშნავად ხვდება, რომ მისსავე პარტიაში მის წინააღმდეგ შეთქმულთა ჯგუ-

ჩვენების შემდეგ, სააკაშვილმა ივანიშვილის წისქვილზე დასხა წყალი, როცა „ნაციონალური მოძრაობის“ სიით გასული 36 დეპუტატი და მათთან ერთად ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიების 24 წარმომადგენელი აიძულა, ბოიკოტი გამოეცხადებინათ და პარლამენტში არ შესულიყვნენ.

საინტერესოა, ან „ნაციონალურ მოძრაობაში“ ან ამ შედეგ ბარიერგადალახულ პარტიაში ერთი ადამიანი როგორ არ აღმოჩნდა, რომ სწორად გაეანალიზებინა და გაეშინებინა, რატომ გააკეთა ეს სააკაშვილმა და რა მოჰყვებოდა მის „ბრძოლს“ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას.

რას მოიმოქმედებს ნიკანორ მელია — ძველებურად მოუსულელებს თავს ან უკვე ენმ-ის თავმჯდომარის რანგში და სააკაშვილის რიტორიკას გაჰყვება, თუ გამბე-



თუ არა ელექტრონული წესით კენჭისყრა, ყველა მათგანის ხმის დაფიქსირება შეუძლებელი იქნებოდა. ახლა კი ყველას მიეცემა საშუალება, თავისი პოზიცია გამოხატოს, — თქვა ნიკანორმა კენჭისყრის დაწყების წინ, მაგრამ, პოი, იმედგაცრუებაც — 500 000 მხარდამჭერიდან კენჭისყრაში მხოლოდ 20 000-მა მიიღო მონაწილეობა, რაც გონივრულ ეჭვს ბადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერთა რაოდენობა, სინამდვილეში, დიდად არ აღემატება 20 000 კაცს.

თავმჯდომარის არჩევნებზე 20 000 ხმაზე მეტს ვერ აგროვებენ, მიტინგებზე და აქციებზე ხალხი ვერ გამოჰყავთ და ეს ნახევარი მილიონი ბიულეტენი საიდან იყრება

მოძრაობის“ ერთიანობას წყალი აქვს შემდგარი და ის აუცილებლად დაიშლება რამდენიმე პარტიად, ამ პროცესების მაპროვოცირებელი კი შეიძლება ენმ-ის თავმჯდომარედ ნიკა მელიას არჩევის ფაქტი გახდეს.

ნიკა მელია საკმაოდ ხისტი და იმპულსური, ფეთქებადი ხასიათის ადამიანია, რომელიც არ ერიდება თავისი მოსაზრებების ჯიქურ და მოურიდებლად გამოხატვას.

იყო დრო, როცა მას გარკვეული დაპირისპირება ჰქონდა თვით სააკაშვილთანაც. მართალია, მოგვიანებით, ყველაფერი მოგვარდა, თუმცა ბოლმიანი სააკაშვილი მსგავს რაღაცებს არ ივიწყებს და არავენ იცის, სად და როდის გადაუხდის სამაგიეროს ურჩ „ქვე-



გემებთან, მის სტრატეგიასთან დაკავშირებით.

ამ შიდა პარტიული დაპირისპირებების შედეგი იყო პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან გრიგოლ ვაშაძის წასვლა, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ ვერ მოერია პარტიაში მომძლავრებული ოდიოზური ფიგურების ამბიციებს.

არის კი ნიკანორ მელია ის პოლიტიკური ფიგურა, რომელიც დაპირისპირებული ჯგუფების გაერთიანებას და ერთი იდეით შეკვრას შეძლებს?

ვფიქრობთ, რომ არა!

გაერთიანება კი არა, მელიამ, თავისი პიროვნული თვისებების გამო, შეიძლება კიდევ უფრო და-

ფები არსებობენ, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, თვალის დაუხამხამებლად გასწირავენ მას და თუ მყიდველი გამოჩნდება, დიდი სიამოვნებით მიჰყვებიან.

მყიდველი კი სააკაშვილს აუცილებლად გამოუჩნდება.

შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ მყიდველში ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ.

არა, არა, ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილის ყიდვა არაფერში არ სჭირდება, რადგან სააკაშვილი ყიდვის გარეშე, უფასოდ და უპონორაროდ, რვა წელია, ბიძინა ივანიშვილს „ემსახურება“, ოღონდ ამის შესახებ თავად სააკაშვილმა არაფერი იცის.

ახლაც, 31 ოქტომბრის არ-

დაობას მოიკრეფს და მისთვის ჩვეული პირდაპირობით იტყვის სიმართლეს, თუ რა უბედურება ტრიალებს „ნაციონალური მოძრაობის“ თავს და ვინ არის ან უბედურების მთავარი ავტორი და შემოქმედი.

როგორც იცით, ნიკას მამამ, ბატონმა ანზორმა ბრძანა, ნიკა არ არის ნაცი, ნიკა ქართველიაო.

ენახოთ, რამდენად კარგად იცნობს მამა ანზორი შვილს და რას იხამს ქართველი ნიკა — ისიც „მსოფლიოს მოქალაქე“ სააკაშვილივით გააგრძელებს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას თუ აქვთ, საქართველოს მხარეს, დადგება...

მიომახილველი



# ქვეყნები სადაც კოვიდ-19 არ არის

მეცნიერები სწავლობენ იტალიური კუნძულის ფენომენს, რომელზეც კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში კორონავირუსით დასნებოვნების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. მკვლევარების აზრით, დაავადების მიმართ საოცარი მდგრადობა, შესაძლოა, პაერთ და ადგილობრივი მცხოვრებლების განსაკუთრებული იმუნიტეტით იყოს განპირობებული.



მიკრონეზია

სირებულა კორონავირუსი კიდევ მინიმუმ 10 ქვეყანაში.

კოვიდ-19-ის შემთხვევათა საერთო რაოდენობამ დედაიწიწაზე 95 მლნ-ს გადააჭარბა, თუმცა მსოფლიოში ჯერ კიდევ არის ისეთი ადგილები, სადაც დაავადების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ერთ-ერთი მათგანია ტოსკანის სანაპიროსთან მდებარე კუნძული ჯილიო, რომლის მოსახლეობაც, 2017 წლის აღწერით, 1436 ადამიანს შეადგენს.

ამ კუნძულს რეგულარულად სტუმრობენ კორონავირუსით დაავადებული ტურისტები, მაგრამ ადგილობრივებს შორის ეს დაავადება არ გავრცელებულა, იმის მიუხედავად, რომ მათთვის არავის უთხოვია ნიღბის ტარება და სოციალური დისტანციის დაცვა.

კუნძულის ფენომენით მეცნიერებიც დაინტერესდნენ. მათ ჩაატარეს კუნძულის სამი მთავარი დასახლებული პუნქტის ზრდასრული მოსახლეობის ექსპრესტესტირება. კვლევის

ავტორები იმედოვნებდნენ, რომ აღმოაჩენდნენ SARS-CoV-2-ის ანტისხეულებსა და უსიმპტომო შემთხვევებს, მაგრამ დადებითი რეზულტატი არ გამოვლენილა.

მკვლევარების აზრით, ვირუსის მიმართ ამგვარი მდგრადობის მხოლოდ ორი მიზეზი არსებობს — სუფთა ჰაერი, რომელშიც არანაირი მინარევი არ არსებობს და კუნძულის მცხოვრებთა ჯვარედინი იმუნიტეტი კორონავირუსის მონათესავე პათოგენის

წლით აპირებენ, ვიდრე ვაქცინა ფეელასთვის ხელმისაწვდომი არ გახდება.

კუნძულ ნაურუზე არსებობს სპეციალური კარანტინი მათთვის, ვინც იქ გადაუდებელი საქმეების გამო ჩადის, შეზღუდულია ასევე ავიაშიმოსვლა დანარჩენ მსოფლიოსთან.

კუნძული ტუვალუც მთლიანად იზოლირებულია სამყაროსგან. ადგილობრივი მთავრობა ძალიან მკაცრად სჯის მოსახლეობას შემზღუდავი წესების შეუსრულებლობისთვის, მკაცრად აკონტროლებს პირველადი მონხმარების ნივთიერებებს და ბიზნესის მხარდასაჭერად დიდი ოდენობით კრედიტებს გამოყოფს.

კუნძულ ტონგას მცხოვრებლებიც მოწყვეტილი არიან მსოფლიოს და უფლება არა აქვთ ქუჩაში გამოვიდნენ საღამოს 9-საათიდან დილის 5 საათამდე. მათ ურჩევენ, დაიცვან სოციალური დისტანცია და გამოიყენონ დამცავი საშუალებები. ადგილობრივ ჯანდაცვის სამინისტროში




ჩრდ. კორეა

მიმართ. მეორე მიზეზი მკვლევარებს უფრო დამაჯერებლად მიაჩნიათ, თუმცა კუნძულის კვლევის გაგრძელებას მაინც გეგმავენ.

კოვიდ-19-ისგან თავისუფალ ზონად კვლავ რჩება ოკეანის ქვეყნები, რომელთა შორის დღეის მონაცემებით არის: კირიბატი, ნაურუ, ნიუე, კუკის კუნძული, პალაი, ტონგა, ტუვალუ და მიკრონეზიის ფედერაციული შტატები.

თითოეული ამ ქვეყნის მთავრობამ შარშან მარტში შემოიღო საგანგებო მდგომარეობა, რომლის გაგრძელებასაც კიდევ ორი



აცხადებენ, რომ აუცილებელია ამ წესების დაცვა, რადგან ქვეყანა რამდენიმე დაავადებულსაც კი ვერ გაუმკლავდება.

2021 წლის იანვრისთვის კორონავირუსის არც ერთი შემთხვევა არ დარეგისტრირებულა ოფიციალურად კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მედიასაშუალებები ეჭვობენ, რომ ვირუსის გავრცელების შესახებ ქვეყნის მთავრობა სიმართლეს არ ამბობს, მაგრამ სააგენტო Bloomberg-ის ცნობით, ჩრდილოეთ კორეის ჯანდაცვის სისტემის შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ეს რომ ასე იყოს, ქვეყნის მოსახლეობის მასობრივი დასნებოვნება უკვე პუმანიტარულ კატასტროფაში გადაიზრდებოდა.

ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, რომ ჩრდილოეთ კორეამ ჯერ კიდევ 2020 წლის იანვარში ჩაკეტა საზღვრები ჩინეთთან, როდესაც სხვა ქვეყნები ჯერ არც კი ფიქრობდნენ ამ ვირუსის საფრთხის შესახებ. მეტიც, მთელი წლის განმავლო-

ბაში ქვეყნის მოსახლეობა უსიტყვოდ ატარებდა ნიღბებს, რამაც კოვიდის შეჩერება განაპირობა.

კიდევ ერთი ქვეყანა, სადაც ოფიციალურად არ დაფიქსირებულა კორონავირუსი, თურქმენისტანია. ჯანმო-ს დელეგაცია შარშან ივლისში იმყოფებოდა ამ ქვეყანაში, კოვიდ-19-ით ინფიცირების შემთხვევები ვერ გამოავლინა, თუმცა შემოფოთება გამოთქვა მწვავე რესპირატორული დაავადებებისა და პნევმონიით დაავადებულთა რაოდენობის ზრდის გამო.

მედიასაშუალებები და დამოუკიდებელი წყაროები ამტკიცებენ, რომ ქვეყანაში არსებულ სტატისტიკას მალავენ. გარდაცვლილებს პლასტიკის ტომრებით ატანენ ახლობლებს და აფრთხილებენ, რომ არ გახსნან. ვინც პირობა დაარღვია, საავადმყოფოში კოვიდის მაგვარი სიმპტომებით მოხვდა.

დამოუკიდებელი ექსპერტის თქმით, გარდაცვალების მიზეზი კორონავირუსია, მაგრამ ექიმებს უკრძალავენ ამის განხილვას და აიძულებენ, სიკვდილის მიზეზად პნევმონია ან სხვა ქრონიკული დაავადებები დაასახელონ.

2020 წლის სექტემბერში ბევრი ჩინოვნიკი და ექიმი გარდაიცვალა თურქმენისტანში კორონავირუსისგან, თუმცა დაავადების არსებობის შესახებ ქვეყანა სიმართლეს არ ამბობდა და კორონავირუსის წინააღმდეგ შემზღუდავ ზომებს კი ისევ იყენებს.

ბელა გველმისანი  
568 90 81 22



ტონგა



თურქმენისტი

**საერთო გაზეთი**  
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე

გაზეთის გამომცემი: შპს „საერთო გაზეთი“  
„ელგა-პრინტი“ მშენებლობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74  
გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბუზო ცარციძე (მენეჯერი).  
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალი“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983  
9 772233 398001